დანართი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი შპს „გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი“ მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ[1]

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ეკა გეგეშიძე, შპს საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

ეკატერინე ბაკარაძე, ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო

ილია ბოცვაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

თამთა დემეტრაძე, სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

თინათინ გაბრიჩიძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი
2022

[1] **შენიშვნა:** მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახე	უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	204555524
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	საქართველო, 0101, თბილისი, სამღერეთის ქ. 5
ვებ-გვერდი	http://www.gttu.edu.ge
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	ავტორიზებული
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	2019 წლის 9 ოქტომბერი
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	2025 წლის 9 ოქტომბერი

რაოდენობრივი მაჩვენებლები

პროგრამები[2]

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	**12**
ბაკალავრიატი	7
მაგისტრატურა	5
ერთსაფეხურიანი	0
დოქტორანტურა	0
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	0
ქართულ ენაში მომზადების	0
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	11
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	0
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[3]	0
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	0

სტუდენტები

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა			**1800**
	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	373	490	2638
ბაკალავრიატი	293	372	1796
მაგისტრატურა	80	118	842
ერთსაფეხურიანი	0	0	0

[2] იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

[3] იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის ჰ[48] პუნქტში

დოქტორანტურა	0	0	0
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	0	0	0
ქართულ ენაში მომზადების პროგრამა	0	0	0
უცხოელი სტუდენტების რაოდენობა	0	0	0
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა	0	0	2

პერსონალი

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	**157**
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	**90**
- პროფესორი	38
- ასოცირებული პროფესორი	35
- ასისტენტ პროფესორი	16
- ასისტენტი	1
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	0
- მეცნიერი	0
- პოსტდოქტორანტი	0
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	**52**
- აფილირებული პროფესორი	23
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	17
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	**12**
- აფილირებული ასისტენტი	0
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	1
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	1
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	19
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	48

შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	7081 მ^2
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	3098.82 მ^2
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	2496.09 მ^2

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

<table>
<tr><td colspan="2">აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:

ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა შვიდივე სტანდარტი სრულად.</td></tr>
<tr><td colspan="2">მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები:

☐ ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☒ შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში
შეფასების განხორციელების თარიღი: 2022 წლის 12-13 დეკემბერი</td></tr>
<tr><td>უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):</td><td>აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:</td></tr>
<tr><td>1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება</td><td></td></tr>
<tr><td>1.1.უსდ-ს მისია</td><td></td></tr>
<tr><td>რეკომენდაცია 1. აბსოლუტურად არსებითი მნიშვნელობისაა, რომ მისია პრაქტიკაში ასახავდეს სტრატეგიულ განვითარებას და ბიუჯეტის განაწილებას იმ სფეროებზე, რომლებიც პრიორიტეტებად არის მიჩნეული.</td><td>რეკომენდაცია შესრულებულია. სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ასახულია მისიასთან კავშირი, ბიუჯეტიდან გამოყოფილია თანხები გეგმების განხორციელებისთვის.</td></tr>
<tr><td>რეკომენდაცია 2. ახალი ცოდნის შექმნის მიმართულება (მაღალი ხარისხის კვლევის მეშვეობით) საჭიროებს დამატებით ყურადღებას.</td><td>რეკომენდაცია შესრულებულია. ცოდნის შექმნის სფეროების მიმართულებით რეკომენდაციები შესრულებულია მიუხედავად იმისა, რომ უსდ სასწავლო უნივერსიტეტია, მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს კვლევების ხელშეწყობისათვის.</td></tr>
<tr><td>რეკომენდაცია 3. უსდ-ს მახასიათებლები უნდა ასახავდეს არსებულ რეალობას და არა აბსტრაქტულ პერსპექტივას.</td><td>რეკომენდაცია შესრულებულია. განახლებული მისია, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებთან ერთად, რეალისტური და მიღწევადია არსებული რესურსებით.</td></tr>
</table>

რეკომენდაცია 4. სასურველია მისიის განაცხადის უფრო მეტად გავრცელება და მის შესახებ ცნობადობის ამაღლება.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** ავტორიზაციის პროცესში დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ მისიის განაცხადი იცის თითოეულმა ჯგუფის წევრმა და გათავისებული აქვთ მისიის არსი.
1.2 სტრატეგიული განვითარება	
რეკომენდაცია 5. უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა საჭიროებს მნიშვნელოვან გადახედვას, რათა სასურველი შედეგების მიღწევა შესაძლებელი იყოს დადგენილ ვადებში.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** უსდ-ს შემუშავებული აქვს და პრაქტიკაში აქტიურად იყენებს „შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის მექანიზმები“.
რეკომენდაცია 6. უნდა დაინერგოს კონტროლისა და შეფასების მექანიზმები, რათა გამოვლინდეს ხარვეზები და შეუსაბამობები, მათი არსებობის შემთხვევაში.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** უსდ-ს შემუშავებული აქვს მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა, რომლის საფუძველზე ხდება სასურველი შედეგების მიღწევის დადგენილ ვადებში მიღწევადობის უზრუნველყოფა.
რეკომენდაცია 7. უნდა გაუმჯობესდეს მართვისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმები.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** უსდ-ს მერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია: სასწავლო უნივერსიტეტის დებულება; სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა; სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია; სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის მექანიზმები; სამოქმედო გეგმის სამწლიანი ანგარიში; და მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა; ერთობლიობაში იძლევა მტკიცებულებას, რომ უსდ-ში მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია მართვისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმები.
2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	
2.1. ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	
რეკომენდაცია 8. კონტროლის მექანიზმები უნდა გაუმჯობესდეს და მოხდეს მათი რეორგანიზება.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** საუნივერსიტეტო საქმიანობის ყველა სფეროს კონტროლის გაუმჯობესების მიზნით: განახლდა ან/და შეიქმნა რეგულაციები, გზამკვლევები, მეთოდოლოგიები; განახლდა ანგარიშებისა და შეფასების ფორმები; ახალი მიდგომით შიდა მონიტორინგი და კონტროლი მოიცავს უნივერსიტეტის საქმიანობაში ჩართულ ყველა ერთეულს, რომელსაც აქვს ვალდებულება, მოახდინოს მათი ქმედებების, მიღწევების განვითარების მუდმივი და რეგულარული მონიტორინგი, მოამზადოს ანგარიში ყოველი კალენდარული წლის ბოლოს; ანგარიშგებაზე ხორციელდება უკუკავშირი. ხარისხის კონტროლის მექანიზმების რეორგანიზებით და განხორციელებით სასწავლო

	უნივერსიტეტმა გააძლიერა საუნივერსიტეტო საქმიანობის ყველა სფეროზე კონტროლი.
რეკომენდაცია 9. ინტერნაციონალიზაციისათვის დაუყოვნებლივ უნდა გამოყოთ დამატებითი რესურსები.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** ახალი დამფუძნებლის, „ჩინეთის საერთაშორისო განათლების ჯგუფის“ მიერ, ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით განახორციელა მნიშვნელოვანი ფინანსური ინვესტიცია. რომლის შედეგად გაუმჯობესდა აფილირებული აკადემიური პერსონალის წახალისების მექანიზმები როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო სასწავლო და კვლევით საქმიანობაში მონაწილეობის კუთხით. სასწავლო უნივერსიტეტის მხარდაჭერით მომზადდა და 2022 წელს აკრედიტაცია მიენიჭა ორ ინგლისურენოვან პროგრამას (ბიზნესის ადმინისტრირება და ტურიზმი). გაფორმდა მემორანდუმები სხვადასხვა საერთაშორისო უნივერსიტეტთან კვლევითი საქმიანობისა და სტუდენტური გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, მათ შორის erasmus+ მიმართულებით.
რეკომენდაცია 10. უნივერსიტეტის სტრატეგიის შესახებ მეტი ინფორმაციის ფლობა უნდა წახალისდეს, ამაში წვლილი უნდა შეიტანოს ყველა დაინტერესებულმა მხარემ.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** გადაიხედა და უფრო ნათლად ჩამოყალიბდა სტრატეგიული გეგმის შესრულების ინდიკატორები; თითოეული მიზნისა და ამოცანისათვის განისაზღვრა და დაკონკრეტდა პასუხისმგებელი და შემსრულებელი მხარე, თითოეული მიზნისათვის გაიწერა ბიუჯეტი. სტრატეგიულ გეგმაზე და მისი ცალკეული ნაწილების კორექტირება/მოდიფიცირებაზე იმუშავეს ჯგუფებმა, რომელთა შემადგენლობაშიც შედიოდნენ სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები, სტუდენტები, დამსაქმებლები. სტრატეგია და სამოქმედო გეგმა გაეცნო ყველა მხარეს: აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებს, რომელთა მოსაზრებები და რეკომენდაციები შევიდა სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში. სასწავლო უნივერსიტეტში დაიგეგმა და ჩატარდა მეთოდური სემინარი სასწავლო უნივერსიტეტის თანამშრომელთათვის სტრატეგიის შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით. სტრატეგიულ/სამოქმედო გეგმაში განხორციელებული ცვლილებები ელექტრონული ფორმით დაეგზავნა ყველა დაინტერესებულ მხარეს.
2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	
რეკომენდაცია 11. საჭიროა ახალი სტრატეგიის შემოღება, რათა გაუმჯობესდეს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურობა და კოორდინაცია.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** შემუშავდა და განახლდა რეგულაციები, გზამკვლევები, მეთოდოლოგიები, ანგარიშის ფორმები, შეფასების ფორმები და კრიტერიუმები.

	გაუმჯობესდა ინფორმაციის საჯაროობისა და მისი გავრცელების მექანიზმები; შეფასების მიზნებისთვის იქმნება მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფები, რაც უზრუნველყოფს დაინტერესებულ მხარეთა ფართო ჩართულობას, შესაბამისად პროცესების სანდოობასა და გამჭვირვალობას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და სხვადასხვა დეპარტამენტები ჩართულნი არიან გაწეული მომსახურების უწყვეტი მონიტორინგის პროცესში. მოპოვებული ინფორმაციის შედეგების გათვალისწინებით ხდება მონაცემების დამუშავება, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, პრობლემების იდენტიფიცირება, მათი გადაწყვეტის გზების შერჩევა. შეფასების შედეგების შესაბამისად მუშავდება წინადადებები და რეკომენდაციები საუნივერსიტეტო საქმიანობის ასპექტების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.
რეკომენდაცია 12. საჭიროა პერსონალის შეფასებისთვის მონიტორინგის უკეთესი მექანიზმების დანერგვა.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** უსდ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ შემუშავდა პერსონალის განვითარების გეგმა, კონკრეტულად და ცხადად გაიწერა პერსონალის საჭიროებების კვლევის ყველა ეტაპი, დაკონკრეტდა რა ზეგავლენას ახდენს პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგები მათი შრომის ანაზღაურებისა და წახალისების სისტემაზე. სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმია უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასება, რაც გამოიხატება მათი მხრიდან ყოველწლიური ან ყოველსემესტრული ანგარიშების წარმოდგენაში.
2.3 ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	
რეკომენდაცია 13. ნებისმიერი წერილობითი ნაშრომი, რომლის მოცულობაც აღემატება 5000 სიტყვას ან ნებისმიერი ნაშრომი, რომელიც უნდა გამოქვეყნდეს (პერსონალისა თუ სტუდენტების მიერ შესრულებული), ელექტრონულად უნდა შემოწმდეს პლაგიატზე.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** სასწავლო უნივერსიტეტში შემუშავებულია შემდეგი დოკუმენტები: „პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესი“, „სტუდენტის ეთიკის კოდექსი“. აღნიშნული საკითხები ასევე გაწერილია საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესში და სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესში, აკადემიური ნაშრომის სტანდარტში, აკადემიური წერის სილაბუსებში. დადგენილია მინიმალური პროცენტულობა პლაგიატის საბაკალავრო, სამაგისტრო, საკონფერენციო და სამეცნიერო ნაშრომებში. ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების მექანიზმების განვითარება და დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირების პროცედურები გაწერილია სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესში.

რეკომენდაცია 14. საჭიროა შემოწმების ჩატარება, რათა დარწმუნდეთ რომ პლაგიატის საწინააღმდეგო ახალი კომპიუტერული პროგრამა არის თუ არა თანხვედრაში საერთაშორისო სტანდარტთან.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** მიმდინარე წლის ნოემბრიდან გაფორმებულ იქნა ხელშეკრულება კომპანია Turnitin-თან და შესაბამისად ნაშრომები (საბაკალავრო, სამაგისტრო, სამეცნიერო, სასწავლო კურსებით გათვალისწინებული წერითი აქტივობები: რეფერატი, ესსე და ა.შ.) მოწმდება სწორედ აღნიშნული პროგრამის საშუალებით.
რეკომენდაცია 15. პერსონალსა და სტუდენტებს უნდა მოეთხოვებოდეთ ეთიკისა და ქცევის კოდექსზე ხელის მოწერა პირველივე დღეს და ისინი უნდა დაესწრონ სემინარს ამ თემაზე.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** სტუდენტებსა და პერსონალს ჩაუტარდათ საინფორმაციო შეხვედრა, რომელზეც მიეწოდათ ინფორმაცია სასწავლო უნივერსიტეტის ,სტუდენტთა ეთიკის კოდექსსა" და ,,თანამშრომელთა ეთიკის კოდექსის" შესახებ. სტუდენტებს საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებისას ეძლევათ შესაბამისი განმარტება ეთიკის კოდექსის შესახებ, ისინი ეცნობიან კოდექსს და გაცნობას ადასტურებენ წერილობითი ფორმით, ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის გზით.
3. საგანმანათლებლო პროგრამები	
3.1. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	
რეკომენდაცია 16. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისთვის მთავარი ინდიკატორი უნდა იყოს შრომის ბაზრის მოთხოვნები, სხვაგვარად, გაიზრდება იმის შანსები, რომ სტუდენტები დარჩნენ უმუშევრები ან იმუშავონ მათი კვალიფიკაციისგან განსხვავებულ სფეროებში.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** სასწავლო უნივერსიტეტში საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შრომის ბაზრის კვლევა ბიზნესის ადმინისტრირებისა და ტურიზმის მიმართულებებისთვის. ამასთან, შრომის ბაზართან მჭიდრო კავშირების უზრუნველსაყოფად, სასწავლო უნივერსიტეტი თანამშრომლობს დამსაქმებლებთან, მათი გამოკითხვების, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფით.
რეკომენდაცია 17. უნდა გაიზარდოს ინტერნაციონალიზაცია. ამისათვის უნდა დაემატოს ახალი საგნები, რომლებიც ისწავლება ინგლისურ და სხვა ევროპულ ენებზე, მსგავსი საქმიანობისთვის არსებითად უნდა გაიზარდოს ბიუჯეტიც.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** საანგარიშო პერიოდში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებს დაემატა ინგლისურენოვანი სასაწავლო კურსები. ამასთან, შემუშავდა ორი ახალი, ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა. ინტერნაციონალიზაციის ბიუჯეტი გაიზარდა და დაგეგმილია მისი ზრდა.
რეკომენდაცია 18. უნად ჩატარდეს კურსდამთავრებულთა კვლევა მათი კარიერული და აკადემიური განვითარების შესახებ.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** დაწესებულება პერიოდულად ახორციელებს კურსდამთავრებულთა კვლევას.
რეკომენდაცია 19. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ერთმანეთს უნდა ასახავდეს.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** გთუნი-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის შემუშავებულია მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკები, რომელიც აჩვენებს კავშირს პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის. ამასთან, საანგარიშო პერიოდში განხორციელებული გარე შეფასებების პროცესში არ გამოთქმულა რეკომენდაციები/შენიშვნები პროგრამების მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის კავშირზე.

3.2. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	
რეკომენდაცია 20. საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული აქტივობები უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის შედეგების განხორციელებას.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** საანგარიშო პერიოდში, როგორც აღინიშნა, გადაიხედა და მოდიფიცირდა სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებული აქტივობები და განხორციელდა ცვლილებები მათი სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის მიზნით.
რეკომენდაცია 21. ლაბორატორიებსა და სხვა კლინიკებს უნდა ჰქონდეთ საქმიანობის საზომი მკაცრი სისტემები.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** სასწავლო უნივერსიტეტში არსებული სასწავლო ლაბორატორიებსა და კლინიკის საქმიანობა ფასდება მათივე დებულებებზე, წლიურ სამოქმედო გეგმებსა და გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშების საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტები შესაბამის ლაბორატორიასა ან/და ინკუბატორში გადიან პრაქტიკას, მათი შეფასება ხდება დადგენილი შეფასების კრიტერიუმებისა და რეგულაციების საფუძველზე.
3.3. სწავლის შედეგების შეფასება	
რეკომენდაცია 22. სწავლის შედეგები უნდა იყოს გაზომვადი.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** სასწავლო უნივერსიტეტის ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩამოყალიბდა სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელშიც ასახულია, თუ როგორ შეფასდება პროგრამის სწავლის შედეგები პროგრამის დასასრულს; განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა, როგორც წესი, იმ სემესტრში, რომელშიც ის დადგა.
რკომენდაცია 23. შეფასების გასაჩივრების სისტემა პრაქტიკაში უნდა მუშაობდეს.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედებს შეფასების შედეგების გასაჩივრების წესი. გასაჩივრების შედეგების შემდეგ ხორციელდება უკუკავშირის სტუდენტებთან, აღნიშნული დასტურდება დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუებით.
4. უსდ-ის პერსონალი	
4.1. პერსონალის მართვა	
რეკომენდაცია 24. უნდა განხორციელდეს საქმიანობასთან დაკავშირებული გადახდები, კვლევაში სრულყოფილ მიღწევებზე, საერთაშორისო გავლენასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** რეკომენდაციის შესრულების მიზნით, უსდ-მ შეიმუშავა და /ან განაახლა დოკუმენტაცია, განავითარა პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული მართვის პოლიტიკა, რომელიც მოიცავს: პერსონალის მართვის ზოგად პრინციპებსა და წესებს; პერსონალის სამსახურში მიღების (არჩევა/დანიშვნა) გამჭვირვალე და ობიექტურ პროცედურას, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის პოზიციებზე კვალიფიციური კადრების მოზიდვას და დასაქმებას.
რეკომენდაცია 25. პერსონალის პროფესიონალური განვითარება უნდა იქცეს პრიორიტეტად.	**რეკომენდაცია შესრულებულია.**

	რეკომენდაციის გათვალისწინების მიზნით, პერსონალის მართვის სისტემის გაუმჯობესებისათვის უსდ-ში მოქმედი მარეგულირებელი დოკუმენტები მოვიდა შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან, პერსონალის შესრულებულ საქმიანობასთან დაკავშირებით დადგინდა და განისაზღვრა სამიზნე ნიშნულები, შემუშავდა პერსონალის წახალისების მექანიზმები. უსდ-ს ბიუჯეტიდან გამოიყო თანხა პერსონალის პროფესიული აქტივობების დასაფინანსებლად. დაწესებულებამ წარმოადგინა 2021 წლის ფაკულტეტების სამეცნიერო საქმიანობის წლიური ანგარიშები, აკადემიური პერსონალის 2019-2021 წლების სამეცნიერო ანგარიშების ანალიზი, რაც შეფასდა როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი ასპექტებით. პერსონალის სამეცნიერო საქმიანობა შეფასებულია დამაკმაყოფილებლად.
4.2. აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	
რეკომენდაცია 26. პერსონალის სამიზნე ნიშნულების უფრო მკაფიო სია უნდა დაინერგოს. ეს სამიზნე ნიშნულები უნდა ასახავდეს რეალობას და მოტივაციას აძლევდეს პერსონალს, რომ გამოიყენონ დრო კვლევისთვის, კერძოდ საერთაშორისო თემებზე.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** სასწავლო უნივერსიტეტში დაკორექტირდა და განახლდა შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტაცია, დარეგულირდა პერსონალის პროფესიული განვითარების, სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების პროცედურები და კრიტერიუმები. დეტალურად განისაზღვრა პერსონალის საქმიანობის სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობის შეფასების მიზნები, დაკონკრეტდა შეფასების მეთოდები და პროცედურები, შეფასების ინსტრუმენტები. რეკომენდაციის შესრულების მიზნით, უსდ-ში დაინერგა აკადემიური/მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების სამიზნე ნიშნულების სია, რომლის ფარგლებში პერსონალს დაეკისრა ვალდებულება, განახორციელოს დადგენილი სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები და აკადემიური წლის განმავლობაში უნდა დააგროვოს ქულათა ზღვრული რაოდენობა. განისაზღვრა კონკრეტული პროცესისთვის შეფასების პერიოდულობა და უკუკავშირის სისტემა. უსდ-ს გააჩნია აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა; განსაზღვრულია აკადემიური პერსონალის დატვირთვის ფორმები, რომელიც უზრუნველყოფს მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების ჯეროვნად შესრულებას.

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	
5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	
რეკომენდაცია 27. უნდა ამაღლდეს სტუდენტების ცნობიერება ქულებთან დაკავშირებულ გასაჩივრების პროცედურებზე, ისევე როგორც სასწავლო პროცესზე და უნდა მოუწოდოთ მათ, რომ გასაჩივრებისთვის გამოიყენონ ოფიციალური წერილები ნაცვლად ლექტორებთან პირისპირ კომუნიკაციისა.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** სტუდენტები იცნობენ და საჭიროების შემთხვევაში, იყენებენ სასწავლო უნივერსიტეტში არსებულ გასაჩივრების მექანიზმებს.
რეკომენდაცია 28. უნდა გაიზარდოს სტუდენტთა ჩართულობა ხარისხის გაუმჯობესებაში, პროგრამის დონეზე, ასევე შეფასების პროცესების კუთხითაც.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** გთუნი-ს სტუდენტები ჩართულნი არიან ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში, აფასებენ საგანმანათლებლო პროგრამებს, სასწავლო უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებს, სტუდენტთა მხარდამჭერ მექანიზმებსა და დაწესებულების რესურსებს.
რეკომენდაცია 29. საჭიროა სტუდენტური თვითმმართველობის რეფორმის გატარება ისე, რომ იგი მხარს უჭერდეს სტუდენტებს აკადემიური ცხოვრების ყველა ასპექტში და არა მხოლოდ კლასგარეშე საქმიანობებში.	**რეკომენდაცია მეტწილად შესრულებულია.** გთუნის-ს ჰყავს სტუდენტური თვითმმართველობა, რომელიც აქტიურად არის ჩართული საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. სტუდენტური თვითმმართველობა გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა აქტივობას, თვითმმართველობის წევრები ჩართულნი არიან მმართველი საბჭოს მუშაობაში, თუმცა, მნიშვნელოვანია მეტი ჩართულობა უნივერსიტეტის მართვის პროცესებში.
რეკომენდაცია 30. აამაღლეთ სტუდენტების ცნობიერება გთუნი-ს მისიისა და ხედვის შესახებ.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** სტუდენტები იცნობენ და იზიარებენ დაწესებულების მისიასა და ხედვას.
5.2 . სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	
რეკომენდაცია 31. უკეთ იქნეს შედგენილი ლექტორთა საკონსულტაციო საათების ცხრილი, რათა ყველა სტუდენტს მიეცეს თანასწორი შესაძლებლობები.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** სტუდენტები კმაყოფილნი არიან საკონსულტაციო საათების ცხრილით. საკონსულტაციო საათების გარდა, ისინი არ არიან შეზღუდულნი პროფესორ-მასწავლებლებთან კომუნიკაციაში.
რეკომენდაცია 32. უნდა გქონდეთ უკეთესად სტრუქტურირებული და ორგანიზებული მონაცემთა ბაზა დამსაქმებლების შესახებ.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** დამსაქმებელთა ბაზა სტრუქტურირებული და ორგანიზებულია ფაკულტეტებისა და პროგრამების მიხედვით.
რეკომენდაცია 33. გამრავალფეროვნდეს და განცალკევდეს კარიერული ხელშეწყობისა და სტუდენტთა დახმარების დეპარტამენტების მოვალეობები, რათა უკეთ მოხდეს სტუდენტთა კონსულტირება მათი კარიერული შესაძლებლობების შესახებ, ისევე, როგორც კომუნიკაცია არსებულ და მომავალ დამსაქმებლებთან.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** გთუნი-ს სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ მიიღონ კონსულტაციები კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ, ასევე, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობისა და კარიერული მხარდაჭერის სამსახური ეფექტიანად თანამშრომლობს დამსაქმებლებთან.
რეკომენდაცია 34. გაუმჯობესდეს და წახალისდეს ინტერნაციონალიზაცია დაწესებულებაში, ყველა	**რეკომენდაცია შესრულებულია.** სასწავლო უნივერსიტეტში გაძლიერებულია ძალისხმევა

სტუდენტის უზრუნველყოფით უფრო მეტად თანასწორი შესაძლებლობებითა და საინფორმაციო წყაროთი.	ინტერნაციონალიზაციის განვითარების მიმართულებით, დასტურდება პროგრესი, მათ შორის, სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობებით.
რეკომენდაცია 35. დაეხმარეთ სტუდენტებს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობაში.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** საანგარიშო პერიოდში სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი იყო სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა.
რეკომენდაცია 36. ყველა სტუდენტს, არა მხოლოდ თვითმმართველობის წევრებს, მიეცეს ინგლისური ენის გაკვეთილებზე უსასყიდლოდ დასწრების თანაბარი შანსი.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** სტუდენტებისთვის თანაბრად არის ხელმისაწვდომი ინგლისური ენის შესწავლა.
რეკომენდაცია 37. უზრუნველყოფილ იქნეს უკეთ ადაპტირებული გარემო და სასწავლო რესურსები განსაკუთრებული საჭიროების მქონე სტუდენტთათვის.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** სასწავლო უნივერსიტეტის გარემო ადაპტირებულია განსაკუთრებული საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის.
რეკომენდაცია 38. დახმარება აღმოეჩინოს ადმინისტრაციულ პერსონალს, რათა შეძლოს სტუდენტთა კონსულტირება პროფესიულ სფეროში.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** ვიზიტის ფარგლებში არ გამოკვეთილა გარემოება, რაც ხელს შეუშლიდა ადმინისტრაციულ პერსონალს, კონსულტირება გაუწიოს სტუდენტებს.
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	
6.1. კვლევითი საქმიანობა	
რეკომენდაცია 39. განმტკიცდეს თანამშრომლობა ეკონომიკურ აგენტებთან.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** სასწავლო უნივერსიტეტს მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულებით გაფორმებული აქვს მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან სტუდენტთა პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით. ეკონომიკურ აგენტებთან და/ან პრაქტიკის ობიექტებთან დადებული 33 ხელშეკრულება იყო წარმოდგენილი.
რეკომენდაცია 40. შემუშავდეს მექანიზმები იმის უზრუნველსაყოფად, რომ კვლევები ფოკუსირებული იყოს რეგიონულ და საერთაშორისო კონტექსტზე.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის განვითარების სტრატეგიის მიხედვით უნივერსიტეტი, მისი ფაკულტეტების პროფილების შესაბამისად, წელიწადში ერთხელ განსაზღვრავს პრიორიტეტულ კვლევით მიმართულებებს; კვლევის პრიორიტეტების განსაზღვრის დროს, შესაძლებლობების ფარგლებში, უნდა გაითვალისწინოს და დააკმაყოფილოს საზოგადოების ინტერესები და მის წინაშე მდგარი კონკრეტული პრობლემები. კვლევითი პრიორიტეტების განვითარების მიზნით უნივერსიტეტი გამოყოფს ფინანსურ, მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს. დოკუმენტი *სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმები* შემუშავებულია, სადაც ერთ-ერთი პუნქტით გათვალისწინებულია, რომ კვლევითი პროექტების თემატიკა უნდა შეესაბამებოდეს

	გთუნი-ს ძირითად სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებებს და აუცილებელი პირობის სახით გულისხმობს მასში სტუდენტების, პირველ რიგში მაგისტრანტების, მონაწილეობას.
6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	
რეკომენდაცია 41. აქტიურად იქნეს გამოყენებული აკადემიური პერსონალის მოტივაციის ყველა მექანიზმი.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** სასწავლო უნივერსიტეტის ახალი მფლობელის მოსვლის შემდეგ ინტერნაციონალიზაციის და კვლევების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა ცვლილებები, რომელიც ხელს უწყობს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და აქტივობების განხორციელებას. შემუშავებული *უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის განვითარების სტრატეგია, სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმები, მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების საგრანტო კონკურსის დებულება* მოიცავს კარგად გაწერილ სამოტივაციო მექანიზმებს. შემოღებულია აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შეფასება დეტალურად გაწერილი დადგენილი ინდიკატორებით, მხარდაჭერილია კვლევითი პროექტების საგრანტო კონკურსი. გაიზარდა პერსონალის ხელფასი. აკადემიური პერსონალისთვის ხელმისაწვდომია Erasmus+ მობილობა ტრენინგისა და/ან ლექციის ჩატარების შესაძლებლობით.
რეკომენდაცია 42. კვლევისა და ინტერნაციონალიზაციის გაუმჯობესების სტრატეგიული მიზნები დაუკავშირდეს შესაბამის საბიუჯეტო სახსრებს.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** უნივერსიტეტის განახლებულ ბიუჯეტში 13%-ით გაზრდილი დაფინანსება ეხება კვლევასა და ინტერნაციონალიზაციას. ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება, კონფერენციებში მონაწილეობა, ინტერნაციონალიზაცია/საერთაშორისო ურთიერთობები, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა, ინსტიტუტების ჟურნალების გამოცემა, სტუდენტური კონფერენციები და ოლიმპიადები, აფილირებული პერსონალის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის დაფინანსება გაწერილია გთუნი-ს 2022-2025 წლის ფინანსური გეგმის პროექტში და დაფინანსების მოცულობა წლების მიხედვით მზარდია.
რეკომენდაცია 43. აკადემიურ პერსონალს რეგულარულად შესთავაზეთ პროფესიული განვითარების აქტივობები, რათა გაიზარდოს მათი სამეცნიერო კვალიფიკაცია.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობა ეფუძნება სასწავლო უნივერსიტეტის მისიასა და 2019-2025 წწ. სტრატეგიული განვითარების გეგმას და რეგულირდება *სამეცნიერო საქმიანობის განვითარების სტრატეგიით; სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმებით, მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების საგრანტო კონკურსის დებულებით.* პროფესიული განვითარების

	მიმართულებით ტარდება ტრენინგები, ვორკშოფები, შეხვედრები. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობაზე თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელი პირები (მაგ, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია; ფაკულტეტები; ბიბლიოთეკა; კვლევების ხელშეწყობის ცენტრი) უზრუნველყოფენ მხარდაჭერას ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა მაგ, სამეცნიერო კვლევების განვითარების მიზნით კონტაქტების დამყარება; სამართლებრივი საკითხების, საგრანტო განაცხადის მომზადებისა და წარდგენის საკითხები, გრანტების ეფექტური ადმინისტრირება და ანგარიშების წარდგენის პროცესში ტექნიკური დახმარება.
რეკომენდაცია 44. შემუშავდეს ციტირების მაღალი ინდექსისა და იმპაქტფაქტორის მქონე ჟურნალებში პუბლიკაციების რაოდენობის გაზრდის მექანიზმები.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** სასწავლო უნივერსიტეტის ახალი მფლობელის პირობებში კვლევების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა ცვლილებები, რომელიც ხელს უწყობს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და აქტივობების განხორციელებას. შემუშავებული *უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის განვითარების სტრატეგია, სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმები, მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების საგრანტო კონკურსის დებულება* მოიცავს კარგად გაწერილ სამოტივაციო მექანიზმებს. შემოღებულია აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შეფასება დეტალურად გაწერილი დადგენილი ინდიკატორებით, მხარდაჭერილია კვლევითი პროექტების საგრანტო კონკურსი. გაიზარდა პერსონალის ხელფასი. 2021 წლისათვის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ გამოცემულ იქნა ერთი მონოგრაფია; საერთაშორისო ინდექსირებად ჟურნალებში, 5 სამეცნიერო სტატია; ადგილობრივ რეფერირებად/რეცენზირებად ჟურნალებში 3 სტატია; უცხოურ გამოცემებში 5 სამეცნიერო სტატია. გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული აიტვირთა Open Journals-პლატფორმაზე და,,GoogleScholar“-ში, მე-11 ჟურნალი გახდა რეფერირებადი, აწარმოებენ მოლაპარაკებას DOI-ს მინიჭებასთან დაკავშირებით. ბოლო წლის განმავლობაში სასწავლო უნივერსიტეტის მხარდაჭერით სამეცნიერო სტატია გამოქვეყნდა Scopus-ში, კოლექტიური მონოგრაფია გამოქვეყნდა Library of Congress-ში. საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ნაშრომების გარდა, სამეცნიერო სტატიები და ნაშრომები მოწმდება პლაგიატზე. იმისთვის

	უნივერსიტეტმა უკვე შეისყიდა TURNITIN-ის ლიცენზიები (მანამდე იყენებდა Qubuntu-ს).
რეკომენდაცია 45. შემუშავდეს და განხორციელდეს სამეცნიერო აქტივობებში სტუდენტთა ჩართვის უფრო ეფექტური მექანიზმები.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** უნივერსიტეტის განახლებულ ბიუჯეტში 13%-ით გაზრდილი დაფინანსება ეხება კვლევასა და ინტერნაციონალიზაციას. ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება, კონფერენციებში მონაწილეობა, ინტერნაციონალიზაცია/საერთაშორისო ურთიერთობები, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა, სტუდენტური კონფერენციები და ოლიმპიადები, გთუნი-ს 2022-2025 წლის ფინანსური გეგმის პროექტში და დაფინანსების მოცულობა წლების მიხედვით მზარდია. უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში *სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმები* ერთ-ერთი პუნქტით გათვალისწინებულია, რომ კვლევითი პროექტების თემატიკა უნდა შეესაბამებოდეს გთუნის ძირითად სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებებს და აუცილებელი პირობის სახით გულისხმობს მასში სტუდენტების, პირველ რიგში მაგისტრანტების, მონაწილეობას.
რეკომენდაცია 46. განმტკიცდეს თანამშრომლობა ევროპულ უნივერსიტეტებთან, მათ შორის ერთობლივი კვლევების სფეროში.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** სასწავლო უნივერსიტეტს აქვს ERASMUS+ მობილობის პროგრამის ხელშეკრულებები 6 ევროპულ უნივერსიტეტთან, ასევე უნივერსიტეტი თანამშრომლობს 14 უცხოურ უნივერსიტეტთან და საგანმანათლებლო ინსტუტუციასთან, მათ შორის MyGlobal World Education Group, Guangzhou International Economics College, Alterbridge, China International Education group. ხელშჰეკრულებება ითვალისწინებს ერთობლივი კონფერენციების, სემინარების და სხვა საგანმანათლებლო აქტივობების ჩატარებას სამეცნიერო კვლევების ორგანიზება-ჩართულობას, კვლევითი და საგანმანათლებლო მასალების გაზიარებას, და ა.შ
რეკომენდაცია 47. განმტკიცდეს თანამშრომლობა საერთაშორისო საგანმანათლებლო/კვლევით ფონდებთან მეტად იქნეს გამოყენებული ახალგაზრდა კვალიფიციური აკადემიური პერსონალის მოზიდვის მექანიზმები.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** 2019-2021 პერიოდში 6სტუდენტმა ისარგებლა Erasmus+ გაცვლითი პროგრამით, რაც სასწავლო უნივერსიტეტის პროფილის და მოცულობის, ასევე განახლებული მექანიზმების გათვალისწინებით კარგი მაჩვენებელია. 2022-2023 წლის საგაზაფხულო სემესტრში დაგეგმილია 5 სტუდენტის მობილობა. იგეგმება ევროპელ პარტნიორებთან ერთად Erasmus+ ინსტიტუციური პროექტების 2022 წლის საგრანტო კონკურსში 2 პროექტის შეტანა. ბიუჯეტში სამეცნიერო კვლევითი საქმიანობისთვის გათვალისწინებული ხარჯები

	ემსახურება მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ჩართვას და წარმოადგენს მიზნობრივად შერჩეული პროექტების დაფინანსებების საშუალებას.
6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება	
რეკომენდაცია 48. აქცენტი გაკეთდეს სამეცნიერო აქტივობების ხარისხობრივ შეფასებაზე, ყოვლისმომცველ ანალიზზე და ინდივიდუალური რეკომენდაციების შემუშავებაზე;	**რეკომენდაცია შესრულებულია.** სასწავლო უნივერსიტეტში დოკუმენტი ,,აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების წესი" არეგულირებს აღნიშნულ პროცესს. კვლევის ხარისხის შეფასებისა და პერსონალის პროდუქტიულობის შეფასების მიზნით ხარისხის მართვის სამსახურს შემუშავებული აქვს კვლევის ხარისხის შეფასების მექანიზმები და პერსონალის პროდუქტიულობის თვითშეფასების სისტემა, რომლის მეშვეობითაც, ყოველწლიურად, ფასდება აკადემიური პერსონალის კვლევის შედეგები.
რეკომენდაცია 49. განხორციელდეს შეფასება და ანალიზი ყველა პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის აქტიური ჩართულობით	**რეკომენდაცია შესრულებულია.** *გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების წესი* არეგულირებს პერსონალის პროფესიული განვითარების და აკადემიური საქმიანობის შეფასების პროცედურებსა და კრიტერიუმებს. პროცესში ჩართულია ყველა პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება ხორციელდება შეფასების შესაბამისი ინსტრუმენტებით.
7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	
7.1. მატერიალური რესურსები	
7.2 საბიბლიოთეკო რესურსები	
რეკომენდაცია 50: ბიბლიოთეკის პერსონალი უნდა აწვდიდეს მეტ ინფორმაციას სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს საერთაშორისო ონლაინ ბიბლიოთეკებისა და მათი გამოყენების თაობაზე. ამ მიზნით, ბიბლიოთეკარები უნდა გადამზადდნენ შესაბამის სფეროში.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** უსდ მოახდინა ბიბლიოთეკის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება. სტუდენტებს და აკადემიურ პერსონალს აქვთ ინფორმაცია საერთაშორისო ონლაინ ბაზების შესახებ და ამასთანავე იყენებენ.
7.3. საინფორმაციო რესურსები	
რეკომენდაცია 51. კომპიუტერული ბანკი და ოპერაციული სისტემები (Windows 7) საჭიროებს განახლებას.	**რეკომენდაცია** საბჭოს მიერ არ იქნა გათვალისწინებული.
7.4. ფინანსური რესურსები	
რეკომენდაცია 52. უნივერსიტეტმა უნდა გაზარდოს კაპიტალი, ამისათვის გაამრავალფეროვნოს წყაროები და შეცვალოს სტრატეგიული ამოცანები, რათა დაემთხვას კაპიტალის ლიმიტებს;	**რეკომენდაცია მეტწილად შესრულებულია,** გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯები თუმცა კაპიტალში ინვესტირება ვერ დგინდება, რომელიც შესაძლოა იყოს საანგარიშგებო დოკუმენტების ვადების, რომელიც ბალანსში უნდა იქნას ასახული 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.
რეკომენდაცია 53. დაწესებულებამ უნდა გაზარდოს კვლევების ბიუჯეტი.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** კვლევების ბიუჯეტი გაზრდილია 13%-ით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში 2022 წლის 12-13 დეკემბერს განხორციელდა ავტორიზაციის მონიტორინგის ვიზიტი. შეხვედრები წარიმართა კონსტრუქციულად. გამოთხოვილი იქნა დამატებითი დოკუმენტები. მონიტორინგის ჯგუფს ადგილზე დახვდა მნიშვნელოვნად შეცვლილი გარემოება და ფაქტიურად წინა უნივერსიტეტის საძირკველზე დაშენებული ახალი უნივერისტეტი, სადაც შენარჩუნებული იყო ძირითადი პროფესიონალი საკვანძო ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი.

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში, 2022 წლის მარტში, მოხდა მფლობელის ცვლილება და ორგანიზაციის მესაკუთრე გახდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჯორჯია ინტერნეშენალ ედუქეიშენ ინვესტმენტ“ , რომელიც ანგარიშში მოხსენიებულია, როგორც „ჩინეთის საერთაშორისო განათლების ჯგუფი”. ამ ძირეული ცვლილებების საფუძველზე მოხდა უსდ-ს სტრუქტურის, მმართველობის მისიის ცვლილება. ამასთანავე სტრატეგიულ გეგმასა და სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანა. უსდ-ში შენარჩუნებული იქნა ძირითადი საკვანძო პასუხისმგებლობებზე არსებული ადამიანური რესურსები, განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურის საფუძველზე მოხდა ახალი კადრების შერჩევა.

უსდ-ს დამფუძნებლებთან და მათ წარმომადგენლებთან საუბრის საფუძველზე დადგინდა, რომ მათ აქვთ ამბიციური გეგმები და სურვილი იმისა, რომ უსდ გახდეს ცნობადი არა მხოლოდ ლოკალურ, არამედ საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზარზე. იყოს კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური კურსდამთავრებულებით.

დამფუძნებლების და უსდ-ს მმართველი რგოლის მიზნები და სტრატეგიული ხედვები ემთხვევა საქართველოს ეკონომიკური განვითარების და საქართველოს უმაღლესი განათლების მიზნებს.

უსდ-ს ახალ მფლობელებს გაწეული აქვთ მნიშვნელოვანი ძალისხმევა ორგანიზაციის განვითარებისთვის, რაც იმითაც დასტურდება, რომ ამ მოკლე დროში უნივერსიტეტმა 2 ინგლისურენოვანი პროგრამის აკრედიტაცია მოახდინა. მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით.

უსდ-ს შეცვალა მისია, მოახდინა სტრატეგიული გეგმის მოდიფიცირება და ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავება.

რეკომენდაციები

- წარმოდგენილი ბიუჯეტის საფუძველზე 2022-2025 წლებში მფლობელი გეგმავს დამატებით 1 315 000 ლარის პირად და ამასთანავე 659 000 საბანკო კრედიტის ინვესტიციის განხორციელებას, რომელთა შესახებ დარწმუნებითი დოკუმენტის მოპოვება არა რელევანტურია, რადგან ეს

შესაძლებელია შეიცვალოს. აღწერილი გარემოებებიდან გამომდინარე, წარმოდგენილი უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მეტწილად მიღწევადია, ამიტომ უსდ-მ უნდა იზრუნოს ფინანსური მდგრადობის მიღწევისათვის.

რჩევები

- სასურველია უსდ-მ შემდგომში იმუშაოს მისიაში არსებულ ფრაზაზე „შექმნას ცოდნის პლატფორმა საგანმანათლებლო სივრცეში“ - რომელიც ვფიქრობთ ცოტათი ბუნდოვანია.
- სასურველია „ჩინეთის საერთაშორისო განათლების ინსტიტუტის“ დაქვემდებარება სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურაში ლოგიკურად განისაზღვროს აკადემიურ-კვლევით მიმართულებებზე პასუხისმგებელ მმართველ რგოლთან.
- სასწავლო უნივერსიტეტის მიზნებიდან გამომდინარე, უმჯობესია, ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის კვლევები მოიცავდეს საერთაშორისო შრომის ბაზრის ან/და განათლების ბაზრის ტენდენციების მიმოხილვასაც.
- სასურველია, კანონის „**ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, შესაბამისად** უსდ-ს მფლობელი კომპანიის „ჯორჯია ინტერნეშენალ ედუქეიშენ ინვესტმენტ“-ის მიერ https://reportal.ge/-ზე განთავსდეს ფინანსური ანგარიშგება, რათა მიღწეული იქნას გამჭირვალობის სათანადო მოთხოვნები.

საუკეთესო პრაქტიკა

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☒	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
2.	უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☒	☐	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☒	☐	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☒	☐	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☒	☐	☐	☐

3.	საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☒	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☒	☐	☐	☐
4.	უსდ-ის პერსონალი	☒	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☒	☐	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☒	☐	☐	☐
5.	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☒	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
6.	კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	☒	☐	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☒	☐	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☒	☐	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☒	☐	☐	☐
7.	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☒	☐	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☒	☐	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☒	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ეკა გეგეშიძე (თავმჯდომარე)
2. ეკატერინე ბაკარაძე (წევრი)
3. ილია ბოცვაძე (წევრი)
4. თამთა დემეტრაძე (წევრი)
5. თინათინ გაბრიჩიძე (წევრი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში, 2022 წლის მარტში, მოხდა მფლობელის ცვლილება და ორგანიზაციის მესაკუთრე გახდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჯორჯია ინტერნეშენალ ედუქეიშენ ინვესტმენტ“ , რომელიც ანგარიშში მოხსენიებულია, როგორც „ჩინეთის საერთაშორისო განათლების ჯგუფი”. ამ ძირეული ცვლილებების საფუძველზე მოხდა უსდ-ს სტრუქტურის, მმართველობის მისიის ცვლილება. ამასთანავე სტრატეგიულ გეგმასა და სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანა. უსდ-ში შენარჩუნებული იქნა ძირითადი, საკვანძო პასუხისმგებლობებზე არსებული ადამიანური რესურსები, განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურის საფუძველზე მოხდა ახალი კადრების შერჩევა. უსდ-ს დამფუძნებლებთან და მათ წარმომადგენლებთან ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ მათ აქვთ ამბიციური გეგმები და სურვილი იმისა, რომ უსდ გახდეს ცნობადი არა მხოლოდ ლოკალურ, არამედ საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზარზე. იყოს კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური კურსდამთავრებულებით. ამის საფუძველზე მოდიფიცირდა სასწავლო უნივერსიტეტის მისია და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „შექმნას ინოვაციური ცოდნის პლატფორმა საგანმანათლებლო სივრცეში, უზრუნველყოს პრაქტიკულ კვლევებზე დაფუძნებული მაღალი ხარისხის განათლება; სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო ურთიერთობების დიაპაზონის გაფართოება და დივერსიფიცირება; ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულის მომზადება, რომელიც, ეთიკურ და დემოკრატიულ პრინციპებზე დაყრდნობით, თავისუფალი და შემოქმედებითი მიდგომებით, ადვილად შეძლებს ცვალებად გარემოში ადაპტირებას.“ განახლებული მისიის საფუძველზე დგინდება, რომ უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე. თუმცა ვფიქრობთ, რომ უსდ-მ კარგი იქნება იმუშაოს მისიის ფრაზაზე „შექმნას ცოდნის პლატფორმა საგანმანათლებლო სივრცეში“ - რომელიც ვფიქრობთ ცოტათი ბუნდოვანია. უსდ-ს მისიის საფუძველზე დგინდება, რომ ის ამზადებს დემოკრატიული საზოგადოების აქტიურ წევრ, ახდენს ცოდნის შექმნასა და გაზიარება, ზრუნავს სტუდენტების პიროვნული განვითარებისა და მათ შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობაზე. უსდ-ს მისიაში განსაზღვრულია

დაწესებულების მახასიათებლები, მისი სახისა და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები. ამასთანავე მისია გაზიარებულია მისია უსდ-ის დაინტერესებული მხარეების მიერ

რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის საფუძველზე დგინდება რომ:

რეკომენდაცია 1: აბსოლუტურად არსებითი მნიშვნელობისაა, რომ მისია პრაქტიკაში ასახავდეს სტრატეგიულ განვითარებას და ბიუჯეტის განაწილებას იმ სფეროებზე, რომლებიც პრიორიტეტებად არის მიჩნეული.

რეკომენდაცია შესრულებულია, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ასახულია მისიასთან კავშირი, გამოყოფილია ბიუჯეტიდან გამოყოფილია თანხები გეგმების განხორციელებისთვის.

რეკომენდაცია 2: ცოდნის შექმნის სფერო (შესანიშნავი კვლევის მეშვეობით) საჭიროებს დამატებით ყურადღებას.

რეკომენდაცია შესრულებულია. ცოდნის შექმნის სფეროების მიმართულებით რეკომენდაციები შესრულებულია მიუხედავად იმისა, რომ უსდ სასწავლო უნივერსიტეტია მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს კვლევების ხელშეწყობისათვის უსდ-ში.

რეკომენდაცია 3: უსდ-ს მახასიათებლები უნდა ასახავდეს არსებულ რეალობას და არა აბსტრაქტულ პერსპექტივას.

რეკომენდაცია შესრულებულია. განახლებული მისია სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებთან ერთად რეალისტური და მიღწევადია, არსებული რესურსებით.

რეკომენდაცია 4: სასურველია მისიის განაცხადის უფრო მეტად გავრცელება და მის შესახებ ცნობადობის ამაღლება.

რეკომენდაცია შესრულებულია. ავტორიზაციის პროცესში დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ მისიის განაცხადი იცის თითოეულმა ჯგუფის წევრმა და გათავისებული აქვთ მისიის არსი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

- რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;
- გთუნ-ის მისია;
- ვებგვერდი http://www.gttu.edu.ge;
- 2019-2025წწ. სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2022-2025წწ. სამოქმედო გეგმა;
- უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმები;
- მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის საგრანტო კონკურსის დებულება;
- ფაკულტეტის ხარიხის სამოქმედო გეგმა;
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

- სასურველია უსდ-მ შემდგომში იმუშაოს მისიაში არსებულ ფრაზაზე „შექმნას ცოდნის პლატფორმა საგანმანათლებლო სივრცეში“ - რომელიც ვფიქრობთ ცოტათი ბუნდოვანია.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 სტრატეგიული განვითარება

- უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი).
- უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.
- უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული დოკუმენტი, „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“, რომლის საფუძველზეც მზადდება და მოდიფიცირდება დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები. სტრატეგიული გეგმის განახლებაში და სამწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებაში ჩართული იყო სხვადასხვა დაინტერესებული მხარე, მათ შორის; აკადემიური/მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები კერძო და საჯარო სექტორიდან.

სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ასახულია უსდ-ს ხედვა, რომელიც ასევე მიმდინარე წლის დასაწყისში, მფლობელის შეცვლის შემდეგ მოდიფიცირდა და შემდეგი სახისაა: შპს ,,გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი“ არის თანამედროვე გამოწვევებზე ორიენტირებული საერთაშორისო სტატუსის მქონე უნივერსიტეტი, რომლის მთავარი ორიენტირია სწავლებისა და კვლევების ინტერნაციონალიზაციის მაღალი ხარისხი და ინოვაციურობა. სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესიონალთა გუნდით, თანამედროვე აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებით, კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურით, თეორიული და პრაქტიკული სწავლებით, ხელს უწყობს ხარისხიანი ცოდნის მიღებას, გამოყენებასა და გავრცელებას, ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, კრეატიული და თავისუფლად მოაზროვნე, სათანადო კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულთა მომზადებას; მომავალი თაობის ცნობიერებაში ეროვნული და მულტიკულტურულ ფასეულობათა დამკვიდრებით, სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას.“

უსდ-ს განახლებული ხედვა რეალისტურია და შეესაბამება სამომავლო პერსპექტივებს.

სტრატეგიული გეგმა მოიცავს შემდეგ მიზნებს:

1. ინსტიტუციური განვითარების ხარისხის გაუმჯობესება და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის ზრდა.
2. პერსონალის მართვისა და პროფესიული განვითარების სისტემის გაუმჯობესება.
3. აკადემიური საქმიანობისა და ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გაუმჯობესება.

4. სტუდენტის ხარისხიან სერვისზე ორიენტირებული მხარდაჭერის მექანიზმების განვითარება.

წარმოდგენილი უსდ-ს სტრატეგია უზრუნველყოფს უსდ-ს მიზნების მიღწევას, რომელიც გამომდინარეობს უსდ-ს მისიიდან, რომელიც მიღწევადია და დროში გაწერილია და მისი შედეგები გაზომვადია.

სტრატეგიული გეგმა, სტრატეგიულ მიზნებთან ერთად მოიცავს ამოცანებსა და მათი შესრულების ინდიკატორებს, რომელიც შემდგომში ასახულია სამოქმედო გეგმის აქტივობებში. სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ასახულია მონიტორინგის მექანიზმები. უსდ-ს ასევე მომზადებული აქვს 2018-2021 წლების სამოქმედო გეგმის ანგარში. უსდ-ს სამოქმედო გეგმაში გაწერილია განსახორციელებელი აქტივობები, შესრულების კრიტერიუმები და შესაბამისი რესურსები.
აღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე. ამასთანავე უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.
რეკომენდაცია 5: უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა საჭიროებს მნიშვნელოვან გადახედვას, რათა სასურველი შედეგების მიღწევა შესაძლებელი იყოს დადგენილ ვადებში.

რეკომენდაცია შესრულებულია. უსდ-ს შემუშავებული აქვს და პრაქტიკაში აქტიურად იყენებს „შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის მექანიზმები“.

რეკომენდაცია 6: უნდა დაინერგოს კონტროლისა და შეფასების მექანიზმები, რათა გამოვლინდეს ხარვეზები და შეუსაბამობები, მათი არსებობის შემთხვევაში.

რეკომენდაცია შესრულებულია. უსდ-ს შემუშავებული აქვს მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა, რომლის საფუძველზე ხდება სასურველი შედეგების მიღწევის დადგენილ ვადებში მიღწევადობის უზურნველყოფა.

რეკომენდაცია 7: უნდა გაუმჯობესდეს მართვისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმები.

რეკომენდაცია შესრულებულია. უსდ-ს მერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია: სასწავლო უნივერსიტეტის დებულება; სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა; სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია; სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის მექანიზმები; სამოქმედო გეგმის სამწლიანი ანგარიში; და მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა; ერთობლიობაში იძლევიან მტკიცებულებას, რომ უსდ-ში მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია მართვისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

- რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;
- გთუნ-ის მისია;
- ვებგვერდი http://www.gttu.edu.ge;
- 2019-2025წწ. სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2022-2025წწ. სამოქმედო გეგმა;
- უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმები;
- მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის საგრანტო კონკურსის დებულება;
- სასწავლო უნივერსიტეტის დებულება;

• სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა; • სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია; • სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის მექანიზმები; • სამოქმედო გეგმის სამწლიანი ანგარიში; • მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა; • ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრების შედეგები.
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა და მმართველობითი პროცესები განსაზღვრულია სასწავლო უნივერსიტეტის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმიდან გამომდინარე. აღსანიშნავია, რომ სასწავლო უნივერსიტეტის ორგანიზაციული მოწყობის უმთავრეს პრინციპს აკადემიური თავისუფლების, მაღალი ეთიკური სტანდარტებისა და დასაქმებულთა უნარ-ჩვევების მაქსიმალურად გამოვლინების უზრუნველყოფა წარმოადგენს.

სწავლების მაღალი ხარისხის შენარჩუნებისა და დეკლარირებული მიზნების განხორციელებისათვის, განხორციელდა სასწავლო უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურის მოდერნიზაცია-განვითარება, შედეგად დეტალურად დადგინდა სასწავლო უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესები, მათი თანმიმდევრობა და მათი დოკუმენტური აღწერილობა, ამასთანავე, ხორციელდება მათი პერიოდული შემოწმება-გაანალიზება და სისტემის ეფექტურობის მუდმივი გაუმჯობესება.

სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურა შედგება უნივერსიტეტის მმართველი ორგანოებისგან, საგანმანათლებლო ერთეულებისგან, ადმინისტრაციისგან, კვლევითი ცენტრისგან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურისგან. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების იურიდიული საფუძვლები, ორგანიზაციული სტრუქტურა, მიზნები, ფუნქციები, უფლებამოსილება, პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულების საკითხები მკაფიოდ და ამომწურავადაა განსაზღვრული უნივერსიტეტის დებულებით და მოქმედი შიდა ნორმატიული აქტებით. ორგანიზაციული სტრუქტურა მიზნად ისახავს სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული საქმიანობისა და მიზნების ეფექტურ განხორციელებას. სასწავლო უნივერსიტეტის მმართველი ორგანოები არიან სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც ახორციელებენ მენეჯერულ საქმიანობას და იღებენ გადაწყვეტილებებს უნივერსიტეტის მნიშვნელოვან საკითხებზე. კერძოდ, სასწავლო უნივერსიტეტის მმართველ ორგანოებში შედიან შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: მმართველთა საბჭო, რექტორი, პრორექტორები და კანცლერი. უსდ-ის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პასუხისმგებლობა ნათლად არის ჩამოყალიბებული და გამიჯნული. სტრუქტურული ერთეულები ეფექტურად და კოორდინირებულად ახორციელებენ თავიანთ ფუნქციებს.

სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურაში წარმოდგენილია ახალი მმართველი პირი - კანცლერი, რომლის პასუხისმგებლობას უნივერსიტეტის დებულების მიხედვით განეკუთვნება: ფინანსური, მატერიალური და ადმინისტრაციული რესურსების მართვა, თუმცა ორგანიზაციული სქემის მიხედვით ასევე მის დაქვემდებარებაშია „ჩინეთის საერთაშორისო განათლების ინსტიტუტი“ რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს საგანმანათლებლო-კვლევით ერთეულს შემდეგი ფუნქციებით: უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის ჩინური ენის შესწავლის უზრუნველყოფა; სტუდენტების ჩინეთში სასწავლებლად გაგზავნის პროცესის კოორდინირება/უზრუნველყოფა; აკადემიური/მოწვეული პერსონალის ჩინეთში მივლენებით გაგზავნის პროცესის კოორდინირება/ხელშეწყობა; ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ან/და განახლების პროცესში მონაწილეობა; სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ჩინეთში სტაჟირების/დასაქმების ხელშეწყობა; სხვადასხვა სამეცნიერო, საგანმანათლებლო, კულტურული ღონისძიებების დაგეგმვის, განხორციელების უზრუნველყოფა ან/და განხორციელების ხელშეწყობა; შესაბამისად სასურველია აღნიშნული ერთეულის დაქვემდებარება ლოგიკურად განისაზღვროს სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ-კვლევითი მიმართულებებზე პასუხისმგებელ მმართველ რგოლთან.

სასწავლო უნივერსიტეტის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურები დამტკიცებულია, არის გამჭვირვალე, სამართლიანი და შეესაბამება კანონმდებლობას.

მართვის ორგანოების მიერ გადაწყვეტილებები აკადემიურ, სამეცნიერო და ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებით მიიღება დროულად და ეფექტურად; **ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაცია: კონტროლის მექანიზმები უნდა გაუმჯობესდეს და მოხდეს მათი რეორგანიზება. წარმოდგენილი ანგარიშსა და დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, უნივერსიტეტის მიერ რეკომენდაცია შესრულებულია.** საუნივერსიტეტო საქმიანობის ყველა სფეროს კონტროლის გაუმჯობესების მიზნით: განახლდა ან/და შეიქმნა რეგულაციები, გზამკვლევები, მეთოდოლოგიები; განახლდა ანგარიშებისა და შეფასების ფორმები, ინდიკატორები და კრიტერიუმები; გადამუშავდა და მათ საფუძველზე ჩატარდა გამოკითხვის ფორმები. სასწავლო უნივერსიტეტმა განახორციელა ყველა ამ მიმართულების შეფასება. ახალი მიდგომით შიდა მონიტორინგი და კონტროლი მოიცავს უნივერსიტეტის საქმიანობაში ჩართულ ყველა ერთეულს, რომელსაც აქვს ვალდებულება, მოახდინოს მათი ქმედებების, მიღწევების განვითარების მუდმივი და რეგულარული მონიტორინგი, მოამზადოს ანგარიში ყოველი კალენდარული წლის ბოლოს; ანგარიშგებაზე ხორციელდება უკუკავშირი. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2021 წლის ბოლოს უნივერსიტეტის საქმიანობაში ჩართულმა ყველა სტრუქტურულმა ერთეულმა წარმოადგინა წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს ანგარიშები. მათ საფუძველზე მოხდა 2022 წლის სამოქმედო გეგმის კორექტირება და საქმიანობის განხორციელება.

ხარისხის კონტროლის მექანიზმების რეორგანიზებით და განხორციელებით სასწავლო უნივერსიტეტმა გააძლიერა საუნივერსიტეტო საქმიანობის ყველა სფეროზე კონტროლი. 2021-2022 წლებში სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან ერთად განხორციელდა გამოკითხვა და მომზადდა შემდეგი დოკუმენტები: საბიბლიოთეკო რესურსების შეფასება; სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების შეფასება; ადმინისტრაციის შეფასება; ინტერნაციონალიზაციის შეფასება; პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო პოტენციალის შეფასება; მართვის ეფექტიანობის შეფასება; ონლაინ სწავლების შეფასება; მხარდაჭერის სერვისებით სტუდენტთა კმაყოფილების შეფასება; ხარისხის უზრუნველყოფის შეფასება; პროგრამების შეფასება; პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება.

სასწავლო უნივერსიტეტის საქმისწარმოების წესი შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და მართვაში მიმდინარეობს თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა/გამოყენება როგორიცაა მაგ: E-flow ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა; ასევე უზრუნველყოფილია კანონმდებლობის შესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრის წარმოება.

სასწავლო უნივერსიტეტის მფლობელის შეცვლის შემდეგ გამოიკვეთა და პრიორიტეტი მიენიჭა ინტერნაციონალიზაციის საკითხს; ახალი ხედვის მიხედვით: შპს ,,გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი“ არის თანამედროვე გამოწვევებზე ორიენტირებული საერთაშორისო სტატუსის მქონე უნივერსიტეტი, რომლის მთავარი ორიენტირია სწავლებისა და კვლევების ინტერნაციონალიზაციის მაღალი ხარისხი და ინოვაციურობა. შესაბამისად **ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაცია: ინტერნაციონალიზაციისათვის დაუყოვნებლივ უნდა გამოყოთ დამატებითი რესურსები. წარმოდგენილი ანგარიშსა და დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, უნივერსიტეტის მიერ რეკომენდაცია შესრულებულია.**

ახალი დამფუძნებლის, „ჩინეთის საერთაშორისო განათლების ჯგუფის“ მიერ ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით განახორციელა მნიშვნელოვანი ფინანსური ინვესტიცია. სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს დოკუმენტი “ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა”, რომლის განხორციელებას უზრუნველყოფს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა აფილირებული აკადემიური პერსონალის წახალისების მექანიზმები როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო სასწავლო და კვლევით საქმიანობაში მონაწილეობის კუთხით. დაწყებულია სხვადასხვა კვლევითი და სამეცნიერო საერთაშორისო

პროექტების ერთობლივი განხორციელება; კვლევისა და ინტერნაციონალიზაციის გაუმჯობესების სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე მათი შესრულების ანგარიში კარგად იქნა გაანალიზებული და შესაბამისად ბიუჯეტირებული. აღნიშნული მიმართულებით ბიუჯეტის ნაწილი გაიზარდა 13%-ით. იგეგმება საერთაშორისო ერთობლივი კონსორციუმის შექმნა, რომელშიც ჩართული იქნებიან მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტების მეცნიერები და ასევე გარე ექსპერტიზას კვლევებს გაუწევს როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო გარე ექსპერტი.

სასწავლო უნივერსიტეტის მხარდაჭერით მომზადდა და 2022 წელს აკრედიტაცია მიენიჭა ორ ინგლისურენოვან პროგრამას (ბიზნესის ადმინისტრირება, ტურიზმი). გაფორმდა მემორანდუმები სხვადასხვა საერთაშორისო უნივერსიტეტთან კვლევითი საქმიანობისა და სტუდენტური გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, მათ შორის erasmus+ მიმართულებით. მიმდინარეობს აქტიური მარკეტინგული სამუშაოები უცხოენოვანი ნაკადის მისაღებად. აღსანიშნავია, რომ გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ახალ დამფუძნებელს, „ჩინეთის საერთაშორისო განათლების ჯგუფს“ საგანმანათლებლო დაწესებულებები ჩამოყალიბებული აქვს ჩინეთში, გაერთიანებულ სამეფოში, აშშ-ში, იაპონიაში, სინგაპურში, მალაიზიაში, საქართველოში და სხვ. იგი ცდილობს ჩინური ენისა და კულტურის პოპულარიზაციას მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ეს ყოველივე, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი წინაპირობაა სასწავლო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის წარმატებით განვითარებისათვის.

სასწავლო უნივერსიტეტში პროცესების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად შემუშავებულია დოკუმენტი „ბიზნეს უწყვეტობის გეგმა“, რომლის მიზანია, ზოგადად, საქმიანობის, სასწავლო პროცესის შეუფერხებლად უზრუნველყოფა, პროცესების ნორმალური მსვლელობისგან გადახრების თავიდან აცილება ან/და შემაფერხებელ ფაქტორთა მინიმუმამდე დაყვანა და ითვალისწინებს ყველა შესაძლო რისკს, მათი სრულიად ან ნაწილობრივ თავიდან აცილების საშუალებებს. დოკუმენტით დგინდება რისკები მათი ალბათობის ხარისხის მიხედვით; განსაზღვრულია ამ რისკების შემცირებისა და ნეიტრალიზების პრევენციული თუ შემდგომი რეაგირების ნაბიჯები, მათი განხორციელების პროცედურები. ყოველი ღონისძიებისათვის გამოყოფილია თანამშრომელთა ჯგუფი ან პასუხისმგებელი პირი.

ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაცია: უნივერსიტეტის სტრატეგიის შესახებ მეტი ინფორმაციის ფლობა უნდა წახალისდეს, ამაში წვლილი უნდა შეიტანოს ყველა დაინტერესებულმა მხარემ. წარმოდგენილი ანგარიშსა და დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, უნივერსიტეტის მიერ რეკომენდაცია შესრულებულია.

წარმოდგენილ ანგარიშებისა და შიდა ხარისხის კონტროლის გამოკითხვების შედეგებზე დაყრდნობით სასწავლო უნივერსიტეტმა მოახდინა სტრატეგიული გეგმის მოდიფიცირება, უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად, მოხდა სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების გადახედვა და კორექტირება; გადაიხედა და უფრო ნათლად ჩამოყალიბდა სტრატეგიული გეგმის შესრულების ინდიკატორები; თითოეული მიზნისა და ამოცანისათვის განისაზღვრა და დაკონკრეტდა პასუხისმგებელი და შემსრულებელი მხარე, თითოეული მიზნისათვის გაიწერა ბიუჯეტი.

სტრატეგიულ გეგმაზე და მისი ცალკეული ნაწილების კორექტირება/მოდიფიცირებაზე იმუშავეს ჯგუფებმა, რომელთა შემადგენლობაშიც შედიოდნენ სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები, სტუდენტები, დამსაქმებლები. სტრატეგია და სამოქმედო გეგმა გაეცნო ყველა მხარეს: აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებს, რომელთა მოსაზრებები და რეკომენდაციები შევიდა სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში, რაც ასევე დასტურდება დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული ინტერვიუებით.

სასწავლო უნივერსიტეტმა სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის ინფორმირებულობის მიზნით განახორციელა რიგი ღონისძიებები: სასწავლო უნივერსიტეტში დაიგეგმა და ჩატარდა მეთოდური სემინარი სასწავლო უნივერსიტეტის თანამშრომელთათვის სტრატეგიის შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით. სასწავლო უნივერსიტეტის მენეჯმენტმა გადაწყვიტა, რომ თანამშრომელთა წახალისების მთავარ კრიტერიუმად უნდა იქცეს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანების ზედმიწევნით და ამავე დროს, შემოქმედებითად შესრულება; სტრატეგიულ/სამოქმედო გეგმაში განხორციელებული ცვლილებები ელექტრონული ფორმით დაეგზავნა ყველა დაინტერესებულ მხარეს. დაინტერესებულ მხარეებს ეგზავნებათ კითხვარი, რომელიც იძლევა საშუალებას გავაკეთოთ დასკვნა, თუ რამდენად ფლობენ ისინი სტრატეგიის შესახებ ინფორმაციას. სასწავლო უნივერსიტეტმა წარმოადგინა აღნიშნული უკუკავშირის შედეგები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის დებულება • რეკომენდაციების შესრულების ანგარიში; • შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მისია; • სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურა; • საქმისწარმოების წესი; • ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა; • მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა; • ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა; • სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა; • 2019-2025წწ. სტრატეგიული განვითარების გეგმა; • 2022-2025წწ. სამოქმედო გეგმა; • სტრუქტურული ერთეულების 2021 წლის ანგარიშები; • 2021-2022 წლის ანალიზის შედეგები; • ვებ-გვერდი http://www.gttu.edu.ge; • უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმები; • სამოქმედო გეგმის სამწლიანი ანგარიში; • ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: • სასურველია „ჩინეთის საერთაშორისო განათლების ინსტიტუტის“ დაქვემდებარება სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურაში ლოგიკურად განისაზღვროს აკადემიურ-კვლევით მიმართულებებზე პასუხისმგებელ მმართველ რგოლთან.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
○ უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას. ○ უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სასწავლო უნივერსიტეტის „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ დოკუმენტის საფუძველზე. ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე სასწავლო უნივერსიტეტში შემუშავდა ხარისხის უზრუნველყოფის სრულიად ახალი სტრატეგია, რაც ასახულია დოკუმენტში „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ და განახლდა შეფასების ინსტრუმენტები; **ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაცია: საჭიროა ახალი სტრატეგიის შემოღება, რათა გაუმჯობესდეს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურობა და კოორდინაცია. წარმოდგენილი ანგარიშსა და დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, უნივერსიტეტის მიერ რეკომენდაცია შესრულებულია.** აღნიშნული დოკუმენტების მიხედვით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სასწავლო უნივერსიტეტში ხარისხის შეფასებას. ხარისხის უზრუნველყოფა მოქმედებს „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“ ციკლის შესაბამისად. შემუშავდა და განახლდა რეგულაციები, გზამკვლევები, მეთოდოლოგიები, ანგარიშის ფორმები, შეფასების ფორმები და კრიტერიუმები. დოკუმენტების განახლებული ბაზა ადასტურებს უნივერსიტეტის მიდგომებს და ვალდებულებებს ხარისხის უზრუნველყოფისა და უწყვეტი გაუმჯობესების საკითხებში; გაუმჯობესდა ინფორმაციის საჯაროობისა და მისი გავრცელების მექანიზმები; აქტიურად გამოიყენება საკომუნიკაციო არხები (ვებ-გვერდი, ფეისბუქი, SMS შეტყობინებები) სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა (სტუდენტებისთვის - https://emis.gtuni.ge/; პროფესორ მასწავლებლებისთვის - https://emisadmin.gtuni.ge/), სადაც ასევე ხდება სხვადასხვა ინფორმაციისა და განცხადებების სტუდენტებისა და პროფესორ მასწავლებლებისათვის მიწოდება. შეფასების მიზნებისთვის იქმნება მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფები, რაც უზრუნველყოფს დაინტერესებულ მხარეთა ფართო ჩართულობას, შესაბამისად პროცესების სანდოობასა და გამჭვირვალობას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და სხვადასხვა დეპარტამენტები ჩართულნი არიან გაწეული მომსახურების უწყვეტი მონიტორინგის პროცესში. მონიტორინგი ძირითადად ხორციელდება მიზნობრივი ჯგუფების გამოკითხვის და პროცესებზე დაკვირვების მეშვეობით. გამოკითხვის ფორმებში შეტანილია ისეთი საკითხების შეფასება, როგორიცაა - საგანმანათლებლო პროგრამებით, სწავლის შედეგებით კმაყოფილება, მართვის პროცესების, ინფრასტრუქტურის შეფასება, მათი განვითარების საჭიროებები, აკადემიური პერსონალის, მატერიალური ბაზის შეფასება და სხვ. მოპოვებული ინფორმაციის შედეგების გათვალისწინებით ხდება მონაცემების დამუშავება, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, პრობლემების იდენტიფიცირება, მათი გადაწყვეტის გზების შერჩევა. შეფასების შედეგების შესაბამისად მუშავდება წინადადებები და რეკომენდაციები საუნივერსიტეტო საქმიანობის ასპექტების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით; შედეგად, ხარისხის უზრუნველყოფის ახალი პოლიტიკა და მისი შესაბამისი აქტივობები მომდევნო პერიოდში ხელს შეუწყობს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურობის გაუმჯობესებას, ასევე, ადმინისტრაციას, პერსონალს, სტრუქტურულ ერთეულებსა და სტუდენტს შორის კოორდინაციის გაღრმავებას.

სხვადასხვა ანგარიშიდან და ექსპერტთა ჯგუფის ჩატარებული ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ სასწავლო უნივერსიტეტი ახორციელებს საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, სწავლობს ბაზარს, იკვლევს უნივერსიტეტის განვითარებისთვის ახალ შესაძლებლობებს და ახორციელებს მათ იმპლემენტაციას დაწესებულებაში.

სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პერსონალის (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე) საქმიანობის შეფასების სისტემა. **ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაცია: საჭიროა პერსონალის შეფასებისთვის მონიტორინგის უკეთესი მექანიზმების დანერგვა. წარმოდგენილ ანგარიშსა და დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, უნივერსიტეტის მიერ რეკომენდაცია შესრულებულია.**

პერსონალის საქმიანობის შეფასება სასწავლო უნივერსიტეტში ხორციელდება ყოველწლიურად სასწავლო უნივერსიტეტში შემუშავებულ შემდეგ დოკუმენტებზე დაფუძნებით: „ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების წესი“, „აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების წესი“, წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის ეფექტურად წარმართვის მიზნით, პერსონალთან და მათ მიერ შესრულებულ საქმიანობასთან დაკავშირებით დადგენილი და განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები და დაწესებულება ზრუნავს მათ გაუმჯობესებაზე. სწორედ ამის საფუძველზე, უსდ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ შემუშავდა პერსონალის განვითარების გეგმა, კონკრეტულად და ცხადად გაიწერა პერსონალის საჭიროებების კვლევის ყველა ეტაპი, დაკონკრეტდა რა ზეგავლენას ახდენს პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგები მათი შრომის ანაზღაურებისა და წახალისების სისტემაზე.

სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმია უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასება, რაც გამოიხატება მათი მხრიდან ყოველწლიური ან ყოველსემესტრული ანგარიშების წარმოდგენაში. ანგარიშებში აისახება ინფორმაცია, მათი მიღწევების, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის, სტატიების გამოქვეყნების, მოზიდული ადგილობრივი თუ საერთაშორისო გრანტების შესახებ და სხვ. აღნიშნული საქმიანობა დასტურდება დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების და ნაწილი აკადემიური პერსონალის რეზიუმეებიდან და ასევე დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ცალკეული ინფორმაცია აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რეგულარული შეფასების ანგარიშები; საანგარიშო პერიოდში განხორციელდა პერსონალის საქმიანობის შედეგების შეფასება და მათი ანალიზის საფუძველზე, გაიცა რეკომენდაციები/ დაისახა განვითარების გეგმა.

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის, შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმები: საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასება ძირითადად ხდება სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვით და სასწავლო პროცესის მონიტორინგის გზით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველი სემესტრის ბოლოს ახორციელებს სტუდენტების მიერ სასწავლო კურსებისა და ლექტორების შეფასებას კითხვარების საშუალებით (გამოკითხვა ელექტრონული სისტემის მეშვეობითაა შესაძლებელი). ხორციელდება სტუდენტთა სასწავლო კურსით კმაყოფილების ანალიზი. მიღებული შედეგები მუშავდება პროგრამის შემდგომი დახვეწისთვის.

სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში დასტურდება დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილია პროგრამების განმახორციელებლ პერსონალთან, დამსაქმებლებთან საგანმანათლებლო პროგრამის

შეფასების მიზნით ჩატარებული შეხვედრების დამადასტურებელი ოქმები, სადაც აღწერილია მონაწილეთა შეფასებები და მათი მხრიდან დაფიქსირებული რეკომენდაციები და რჩევები. აღნიშნულ პროცესში ჩართულობას ადასტურებს ყველა დაინტერესებული მხარე ინტერვიუების დროს, სახელდება მათი მხრიდან დაფიქსირებული რეკომენდაციების პროგრამის ხელმძღვანელის მიერ გათვალისწინების კონკრეტული შემთხვევები.

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების თანახმად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონიტორინგის მიზნით ესწრება ლექციებს/პრაქტიკულ მეცადინეობებს, აანალიზებს სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებას და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროგრამის ან ცალკეული სასწავლო კურსის სრულყოფისათვის. ასევე შედეგებთან დაკავშირებით ხდება კომუნიკაცია პედაგოგთან და საჭიროების შემთხვევაში ხდება რეკომენდაციებისა და რჩევების მათთვის გაზიარება. სასწავლო უნივერსიტეტმა წარმოდგინა რამდენიმე საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა აკადემიურ მოსწრების ანალიზის შედეგები. შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე ხდება პროგრამის და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირება/ადაპტირება მისი განახლების უზრუნველსაყოფად.

სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების განვითარებისა და სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები და ტრენინგები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა წარმოადგინა კვლევები და გამოკითხვების ანალიზი უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების გაუმჯობესების მიზნით ჩატარებული ღონისძიებების/ტრენინგების შესახებ.

მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და გაუმჯობესება. შეფასების შედეგები გამოიყენება მათი შემდგომი განვითარებისთვის.

სასწავლო უნივერსიტეტს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელსაც ახორციელებს განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია ითვალისწინებს უსდ-ის რესურსებს და უსდ-ის მიერ დადგენილ სათანადო ინდიკატორებსა და სამიზნე ნიშნულებს. სამიზნე ნიშნულები ითვალისწინებს სტუდენტთა არსებულ და მისაღებ კონტინგენტს, საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის დებულება
- რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;
- საქმისწარმოების წესი;
- სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- სტრუქტურული ერთეულების 2021 წლის ანგარიშები;
- 2021-2022 წლის ანალიზის შედეგები;
- ვებ-გვერდი http://www.gttu.edu.ge;
- სასწავლო პროცესის მონიტორინგის ადმინისტრირების წესი;
- სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტი;
- სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი;
- ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების წესი;
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების წესი;
- სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულები;
- ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა
○ უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია. ○ უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები. ○ უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტებისა და პერსონალისთვის შემუშავებულია ეთიკისა და ქცევის წესები და განსაზღვრულია ამ წესების დარღვევაზე რეაგირების შესაბამისი პროცედურები; „სტუდენტის ეთიკის კოდექსი“ და „თანამშრომელთა ეთიკის კოდექსი“ მოიცავს ისეთ საკითხებს როგორიცაა: აკადემიური მიუკერძოებლობის პრინციპები, პოზიტიური და უარყოფითი დისკრიმინაციის პრევენცია, განსხვავებული იდეების პატივისცემა და სტუდენტის აკადემიური თავისუფლება, პირადი და სამეცნიერო ავტორიტეტის პატივისცემის განმტკიცება, აკადემიური კეთილსინდისიერება, მეცნიერული და კვლევითი მიუკერძოებლობა. სასწავლო უნივერსიტეტში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს და მათ დაცვას. **ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაცია: ნებისმიერი წერილობითი ნაშრომი, რომლის მოცულობაც აღემატება 5000 სიტყვას ან ნებისმიერი ნაშრომი, რომელიც უნდა გამოქვეყნდეს (პერსონალისა თუ სტუდენტების მიერ შესრულებული), ელექტრონულად უნდა შემოწმდეს პლაგიატზე. წარმოდგენილი ანგარიშსა და დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, უნივერსიტეტის მიერ რეკომენდაცია შესრულებულია.** სასწავლო უნივერსიტეტში შემუშავებულია შემდეგი დოკუმენტები: „პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესი“, „სტუდენტის ეთიკის კოდექსი“. აღნიშნული საკითხები ასევე გაწერილია საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესში და სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესში, აკადემიური ნაშრომის სტანდარტში, აკადემიური წერის სილაბუსებში. დადგენილია მინიმალური პროცენტულობა პლაგიატის საბაკალავრო, სამაგისტრო, საკონფერენციო ნაშრომებსა და სამეცნიერო ნაშრომებში. ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების მექანიზმების განვითარება და დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირების პროცედურები გაწერილია სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესში. დაწესებულებაში არსებობს პლაგიატის აღმომჩენი პროგრამა, რომლის გამოყენების შესახებ

პერმანენტულად ტარდება საინფორმაციო შეხვედრები პერსონალთან და სტუდენტებთან. აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხებთან დაკავშირებით პერმანენტულად ტარდება შეხვედრები ასევე აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან პლაგიატის დაფიქსირების შემდგომი რუბრიკებისა და შემდგომი რეაგირების მიზნით. გადახედილ იქნა სასწავლო კურსების/კომპონენტების სილაბუსები (აკადემიური წერა, კვლევის მეთოდები, საბაკალავრო ნაშრომი, სამაგისტრო ნაშრომი), დაემატა საკითხები პლაგიატის შესახებ.

პლაგიატის პრევენცია, ავტორის ინფორმირებულობა გამოყენებული წყაროების შესახებ და ნაშრომის ნამდვილობა მოწმდება Turnitin პროგრამის გამოყენებით. პროგრამა ასევე გამოიყენება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ შესრულებული ყველა ნაშრომის, საგრანტო პროექტის, აგრეთვე სტუდენტის ყველა წერილობითი დავალების (ესე, რეფერატი, სამეცნიერო ნაშრომი და ა.შ.) გადამოწმების მიზნით. უნივერსიტეტი იცავს პლაგიატის პოლიტიკას ყველა შესაბამის საგანმანათლებლო დოკუმენტში, აწვდის მის შესახებ ინფორმაციას სტუდენტებსა და თანამშრომლებს სხვადასხვა ფორმატისა და სამუშაო შეხვედრის საშუალებით, რაც ხელს უწყობს აკადემიური წერის კულტურის ამაღლებას. სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალი/სტუდენტები იცნობენ და იზიარებენ აკადემიური თავისუფლების პრინციპებს. სტუდენტებს ჩაუტარდა ტრენინგი, თუ როგო უნდა გამოიყენონ პლაგიატის აღმომჩენი პროგრამა. აღნიშნული დასტურდება დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუებით.

ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაცია: საჭიროა შემოწმების ჩატარება, რათა დარწმუნდეთ რომ პლაგიატის საწინააღმდეგო ახალი კომპიუტერული პროგრამა არის თუ არა თანხვედრაში საერთაშორისო სტანდარტთან. წარმოდგენილი ანგარიშსა და დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, უნივერსიტეტის მიერ რეკომენდაცია შესრულებულია.

სასწავლო უნივერსიტეტში არსებობდა პლაგიატის პრევენციისათვის შესაბამისი ელექტრონული პროგრამა - urkund-ი, პრევენციის პროცესის უფრო მაღალ დონეზე წარმართვისთვის სასწავლო დაწესებულებამ მოახდინა მსოფლიო ბაზარზე არსებული პლაგიატთან ბრძოლის პროგრამების სრული ანალიზი, ასევე შეისწავლა ეროვნული საუნივერსიტეტო ბაზარი, რის შედეგადაც შერჩეულ იქნა ისეთი პროგრამა რომელიც ყველაზე მაღალ დონეზე უზრუნველყოფდა პლაგიატის პრევენციას. შედეგად, მიმდინარე წლის ნოემბრიდან გაფორმებულ იქნა ხელშეკრულება კომპანია Turnitin-თან და შესაბამისად ნაშრომები (საბაკალავრო, სამაგისტრო, სამეცნიერო, სასწავლო კურსებით გათვალისწინებული წერითი აქტივობები: რეფერატი, ესსე და ა.შ.) მოწმდება სწორედ აღნიშნული პროგრამის საშუალებით. სასწავლო დაწესებულების ადმინისტრაცია ითვალისწინებს პლაგიატის პრევენციის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, იმისათვის რომ აღნიშნული პროცესი არ ყოფილიყო წმინდა ფორმალობა შეიქმნა წესი რომლითაც მოხდება პლაგიატზე შემოწმებული წერითი აქტივობების თაობაზე ლექტორების მიერ დეკანთა ანგარიშვალდებულება და აღრიცხვა.

აკადემიური თავისუფლების პრინციპის აღიარებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტები. უზრუნველყოფილია აკადემიური თავისუფლების პრინციპის აღიარება აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის, ასევე კვლევის თავისუფლების პრინციპის დაცვა კვლევაში მონაწილე პირთათვის. **ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაცია: პერსონალსა და სტუდენტებს უნდა მოეთხოვებოდეთ ეთიკისა და ქცევის კოდექსზე ხელის მოწერა პირველივე დღეს და ისინი უნდა დაესწრონ სემინარს ამ თემაზე. წარმოდგენილი ანგარიშსა და დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, უნივერსიტეტის მიერ რეკომენდაცია შესრულებულია.**

სტუდენტებსა და პერსონალს ჩაუტარდათ საინფორმაციო შეხვედრა, რომელზეც მიეწოდათ ინფორმაცია სასწავლო უნივერსიტეტის ,სტუდენტთა ეთიკის კოდექსსა" და ,,თანამშრომელთა ეთიკის კოდექსის" შესახებ. რაც შეეხება „პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა დ მასზე რეაგირების წესს", ყველა აკადემიური/მოწვეული პერსონალი, პირველივე ლექციაზე, სასწავლო კურსის/კომპონენტის სილაბუსის გაცნობისას, დაუთმობს წინასწარ განსაზღვრულ დროს აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხებს. სტუდენტებს საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებისას ეძლევათ შესაბამისი განმარტება ეთიკის კოდექსის შესახებ, ისინი

ეცნობიან კოდექსს და გაცნობას ადასტურებენ წერილობითი ფორმით, ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის გზით. სამომავლო გაუმჯობესების გეგმებში შედის სტუდენტებისა და პერსონალის გამოკვლევა აკადემიურ თავისუფლებასთან დაკავშირებით, რათა შეისწავლონ ამჟამინდელი პოლიტიკისა და პროცედურების ეფექტურობა და საჭიროების შემთხვევაში მოძებნონ ამის გაუმჯობესების გზები. დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ აკადემიური პერსონალი და სტუდენტები იცნობენ და იზიარებენ აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის დებულება • რეკომენდაციების შესრულების ანგარიში; • სტუდენტის ეთიკის კოდექსი; • თანამშრომელთა ეთიკის კოდექსი; • პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენის და მასზე რეაგირების წესი; • საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების ნიმუში; • ვებ-გვერდი http://www.gttu.edu.ge; • ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პროცესებს არეგულირებს და აღწერს "საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების,

განხორციელებისა და განვითარების მეთოდოლოგია“. მეთოდოლოგია დეტალური და მკაფიოა, კანონმდებლობასთან შესაბამისი, განსაზღვრავს პროგრამების დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის წესსა და პროცედურებს; ასევე, ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. მეთოდოლოგიაში ასევე აღწერილია საგანმანთლებლო პროგრამის გაუქმების მექანიზმი და პროგრამის გაუქმების შემთხვევაში სტუდენტთა ინტერესების დაცვის მექანიზმები. საგანმანათლებლო პროგრამები, არსებული მეთოდოლოგიის მიხედვით, პერიოდულად ექვემდებარებიან გარე ექსპერტიზას ადგილობრივი ან/და საერთაშორისო ექსპერტის მიერ. გთუნი-ში მოქმედი პროგრამების ნაწილი შეფასებულია გარე ექსპერტების მიერ, ნაწილის შეფასება კი იგეგმება. საანგარიშო პერიოდში დაწესებულება მუდმივად მუშაობდა საგანმანათლებლო პროგრამების განახლებასა და განვითარებაზე, რის შესახებაც დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია სტანდარტის კომპონენტ 3.2 - ის აღწერაში. სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მიზნით, იქმნება სამუშაო ჯგუფი, პროგრამის საბოლოო ვერსიას განიხილავს ფაკულტეტის საბჭო, შემდეგ პროგრამა მტკიცდება მმართველი საბჭოს მიერ. მონიტორინგის მიზნებიდან გამომდინარე, შეფასებისას ყურადღება გამახვილდა დაწესებულების მიერ ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულებაზე.

რეკომენდაცია 16 - საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისთვის მთავარი ინდიკატორი უნდა იყოს შრომის ბაზრის მოთხოვნები, სხვაგვარად, გაიზრდება იმის შანსები, რომ სტუდენტები დარჩნენ უმუშევრები ან იმუშავონ მათი კვალიფიკაციისგან განსხვავებულ სფეროებში.

რეკომენდაცია შესრულებულია. შრომის ბაზრის მოთხოვნებთან საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად დაწესებულება რამდენიმე მიმართულებით ახორციელებს აქტივობებს:

- შრომის ბაზრის კვლევა - საანგარიშო პერიოდში დაწესებულებამ განახორციელა შრომის ბაზრის კვლევა ბიზნესისა და ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის;
- დამსაქმებელთა გამოკითხვა - საანგარიშო პერიოდში ჩატარდა დამსაქმებელთა კვლევა;
- დამსაქმებელთა ჩართულობა პროგრამების შემუშავების პროცესში, პროგრამის შემუშავებისას, მიმართულების მიხედვით შეხვედრა პოტენციურ დამსაქმებლებთან - ინტერვიუების შედეგად, დადასტურდა დამსაქმებელთა აქტიური ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში, მათ შორის, მათ მიერ შეთავაზებული სასწავლო კურსების საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირების მიმართულებით.

ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევები საკმაოდ მოცულობითია და სასწავლო უნივერსიტეტის შიდა რესურსით არის განხორციელებული, რაც მისასალმებელია. შრომის ბაზრის კვლევების ხარისხი, შესაბამისად, მაღალია, თუმცა, სასწავლო უნივერსიტეტის მიზნებიდან გამომდინარე, მოიზიდოს უცხოელი სტუდენტები, სამომავლოდ, უმჯობესია უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის კვლევები მოიცავდეს საერთაშორისო შრომის ბაზრის ან/და განათლების ბაზრის ტენდენციების მიმოხილვასაც და არ იყოს ფოკუსირებული მხოლოდ საქართველოს ბაზარზე.

რეკომენდაცია 17. უნდა გაიზარდოს ინტერნაციონალიზაცია. ამისათვის უნდა დაემატოს ახალი საგნები, რომლებიც ისწავლება ინგლისურ და სხვა ევროპულ ენებზე, მსგავსი საქმიანობისთვის არსებითად უნდა გაიზარდოს ბიუჯეტიც.

რეკომენდაცია შესრულებულია. 2022 წლიდან ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაემატა ინგლისურენოვანი სასწავლო კურები: “Marketing”, “Fundamentals of Management”, “International Business”.

მასობრივი კომუნიკაციების სამაგისტრო პროგრამას დაემატა ინგლისურენოვანი სასწავლო კურსი - “New Media and Society”.

კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამას - “European Private Law” და “Comparative Civil Procedures”.

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამას - “Comparative Criminal Law” და “Comparative Criminal Procedure”.

ამასთან, საანგარიშო პერიოდში, აკრედიტაცია მოიპოვა ორმა ინგლისურენოვანმა საგანმანათლებლო პროგრამამ - “Business Administration” და “Tourism”.

ასევე, აღსანიშნავია უნივერსიტეტში ჩინური, კორეული და იაპონური ენების სწავლება, რაც მნიშვნელოვანია სტუდენტებისთვის საერთაშორისო მობილობისა და საერთაშორისო დასაქმების ბაზარზე მონაწილეობისთვის. ინტერნაციონალიზაციის ბიუჯეტი უნივერსიტეტში გაზრდილია და იგეგმება მისი ყოველწლიური ზრდა.

მართალია, ინტერნაციონალიზაციის გაზრდა ხანგრძლივი და მრავალმხრივი პროცესია, მაგრამ საანგარიშო პერიოდში შესრულებული სამუშაო და პროგრესი ადასტურებს რეკომენდაციის შესრულებას.

რეკომენდაცია 18. უნად ჩატარდეს კურსდამთავრებულთა კვლევა მათი კარიერული და აკადემიური განვითარების შესახებ.

რეკომენდაცია შესრულებულია. ჩატარებულია კურსდამთავრებულთა გამოკითხვა (2020-2022 წლების) მათი დასაქმებისა და აკადემიური განვითარების შეფასების მიზნით. ასევე, კურსდამთავრებულები აფასებენ სწავლის შედეგების მიღწევასა და მათ მიერ განვლილ საგანმანათლებლო პროგრამებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის შრომის ბაზრის კვლევა;
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
- ანგარიში რეკომენდაციების შესრულების შესახებ;
- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

რეკომენდაციები:

-

რჩევები:

- სასწავლო უნივერსიტეტის მიზნებიდან გამომდინარე, უმჯობესია, ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის კვლევები მოიცავდეს საერთაშორისო შრომის ბაზრის ან/და განათლების ბაზრის ტენდენციების მიმოხილვასაც.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს „პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისა და შეფასების მეთოდოლოგია“, რომელიც დეტალურად აღწერს პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისა და შეფასების პროცესებს. პროგრამების სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამების სტრუქტურა ლოგიკურია, სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამები შედგენილია ECTS კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის სახელმძღვანელო პრინციპებით, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით. საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია.

სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, ისარგებლონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, თუმცა ამჟამად, დაწესებულების სტუდენტები არ სარგებლობენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია ითვალისწინებს ინდივიდუალური გეგმის შედგენას სტუდენტების საჭიროებებზე დაფუძნებით, მათ შორის ჯანმრთელობის მდგომარეობის, ოჯახური მდგომარეობის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების არსებობის შემთხვევაში, შიდა/გარე მობილობით ჩარიცხული სტუდენტებისთვის და სხვ. მეთოდოლოგია დეტალურად აღწერს ინდივიდუალური გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში, სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტს შეიძლება განესაზღვროს ინდივიდუალური სწავლების მეთოდი, შეფასების ფორმა და კომპონენტები, განესაზღვროს განსხვავებული საგამოცდო დრო, სწავლების პროცესში სრულყოფილად ჩართულობის უზრუნველყოფისთვის კი გათვალისწინებულია სტუდენტთა დახმარება/მხარდაჭერა, მათ შორის, გადაადგილების შეზღუდვის შემთხვევაში. რაც შეეხება ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციებს, დაწესებულებამ უზრუნველყო მათი შესრულება, კერძოდ:

რეკომენდაცია 19. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ერთმანეთს უნდა ასახავდეს.

რეკომენდაცია შესრულებულია. 2019 წლისთვის გურამ თავართქილაძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედმა ყველა საგანმანათლებლო პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია. ამასთან, როგორც აღინიშნა სტანდარტის კომპონენტ 3.1-ის აღწერილობით ნაწილში, სასწავლო უნივერსიტეტმა აკრედიტაციის გზით დაიმატა ორი ახალი, ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა. ამასთან, 2022 წლისთვის, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში დაწესებულების მიერ წარდგენილი იქნა სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი, აკრედიტებული

პროგრამების ანგარიშები ან/და კვალიფიკაციის ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიშები. პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგებს შორის კავშირთან მიმართებით, გარე შეფასების პროცესში არ გამოთქმულა რეკომენდაციები.

ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გთუნი-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის შემუშავებულია მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკები, რომელიც აჩვენებს კავშირს პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის. პროგრამების მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკები შემუშავდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სახელმძღვანელოზე დაფუძნებით.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვა ცვლილებებიც, რაც ემსახურებოდა საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას, პროგრამის მიზნების მიღწევადობას, სწავლის შედეგების დახვეწას და სხვ. მაგალითისთვის:

- დაიხვეწა პროგრამის სწავლის შედეგების (კურიკულუმის) რუკები და უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა ბმა თითოეულ სასწავლო კურსსა და პროგრამის სწავლის შედეგს შორის;
- შემუშავდა საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების ფორმების განახლებული დიზაინი;
- შეფასდა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა;
- დაიხვეწა სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები, აქტივობები და შეფასების კომპონენტები;
- უფრო მოქნილი გახდა სტუდენტთა შეფასების სისტემა და სხვ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდაცია შესრულებია და ამასთან, პროგრამის მიზნებთან, სწავლის შედეგებთან თუ მათ ურთიერთკავშირთან დაკავშირებით, დამატებითი, საყურადღებო საკითხები არ გამოკვეთილა.

რეკომენდაცია 20. საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული აქტივობები უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის შედეგების განხორციელებას.

რეკომენდაცია შესრულებულია. საანგარიშო პერიოდში, როგორც აღინიშნა, გადაიხედა და მოდიფიცირდა სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებული აქტივობები და განხორციელდა ცვლილებები მათი სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის მიზნით. საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამები ითვალისწინებს სხვადასხვა პრაქტიკულ აქტივობას, რაც ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებას სტუდენტებში, მათ შორის, სასწავლო უნივერსიტეტის პრაქტიკულ ლაბორატორიებსა და კლინიკებში ჩატარებული პრაქტიკის მეშვეობით. ამასთან, პროგრამების კომპონენტებში გაიზარდა ისეთი აქტივობების მოცულობა, როგორიცაა დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, შემთხვევის ანალიზი და სხვ.

რეკომენდაცია 21.ლაბორატორიებსა და სხვა კლინიკებს უნდა ჰქონდეთ საქმიანობის საზომი მკაცრი სისტემები.

რეკომენდაცია შესრულებულია. სასწავლო უნივერსიტეტში არსებული სასწავლო ლაბორატორიებსა და კლინიკის საქმიანობა ფასდება მათივე დებულებებზე, წლიურ სამოქმედო გეგმებსა და გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშების საფუძველზე. ვიზიტის ფარგლებში დამატებით გამოთხოვილი

იქნა ინკუბატორის სამოქმედო გეგმისა და ანგარიშის ნიმუში, რაც წარმოდგენილ იქნა. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტები შესაბამის ლაბორატორიასა ან/და ინკუბატორში გადიან პრაქტიკას, მათი შეფასება ხდება დადგენილი შეფასების კრიტერიუმებისა და რეგულაციების საფუძველზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია;
- რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში;
- სასწავლო ინკუბატორის ანგარიში 2020-2021;
- სასწავლო ინკუბატორის სამოქმედო გეგმა 2019-2021.

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში, სასწავლო პროგრამების ფარგლებში შემუშავებულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც ეფუძნება „პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისა და შეფასების მეთოდოლოგია" დოკუმენტს, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, რომელიც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს, კომპონენტებსა და მეთოდებს, რომლებიც საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს; **ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაცია: სწავლის შედეგები უნდა იყოს გაზომვადი. წარმოდგენილი ანგარიშსა და დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, უნივერსიტეტის მიერ რეკომენდაცია შესრულებულია.**

სასწავლო უნივერსიტეტის ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩამოყალიბდა სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელშიც ასახულია, თუ როგორ შეფასდება პროგრამის

სწავლის შედეგები პროგრამის დასასრულს; განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა, როგორც წესი, იმ სემესტრში, რომელშიც ის დადგა.
სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, სფეროს სპეციფიკისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით; სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტი დეტალურად აღწერს სტუდენტთა აკადემიურ მოსწრების გაანალიზებისა და შედეგების პროგრამის განვითარების მიზნით გამოყენების პროცესებს, პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება/შეფასდება იმ სასწავლო კურს(ებ)ში, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით, ხდება პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)ის განმტკიცება (დონე-3); სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს სფეროს სპეციფიკას, მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა; მექანიზმის გამოყენება და შეფასებების განხორციელება, კერძოდ, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი (სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი მეთოდი) და ხდება სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგს. მექანიზმებში ნათლად ჩანს, თუ რომელი დავალებით, როდის, ვის მიერ, სტუდენტთა რა რაოდენობაზე შეფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი; პროგრამებმა დაადგინეს სამიზნე ნიშნულები, რაც ასახავს მოლოდინს, თუ რა დონით მიაღწევენ სტუდენტები თითოეულ სწავლის შედეგს. სწავლის შედეგების შეფასებისთვის განსაზღვრულ დავალებაში/კომპონენტში მიღწევების დასადგენად და შესაფასებლად სამიზნე ნიშნულებად გამოიყენება ე.წ. ნორმალური განაწილების დიაპაზონები (იგივე გაუსის განაწილება), აღნიშნული დიაპაზონიდან 20%-იანი გადახრის შემთხვევაში გადაიხედება სწავლის შედეგები და მისი მიღწევის გზები. სამიზნე ნიშნულები განსხვავებულია პროგრამების მიხედვით. აღნიშნული მეთოდოლოგიის გამოყენებით, სასწავლო უნივერსიტეტის ყველა პროგრამაზე ერთი სრული ციკლის დასრულების შემდეგ, განხორციელდა სწავლის შედეგების შეფასება. მოხდა მათი გაანალიზება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; შედეგების გასაუმჯობესებლად შემუშავდა რეკომენდაციები.
შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი (სტუდენტის თვითშეფასება, დამსაქმებლის/სტუდენტის/ლექტორის გამოკითხვა) მეთოდები; დასტურდება სწავლის შედეგების არაპირდაპირი მეთოდის გამოყენებით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება, კერძოდ შემუშავებულია კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ფორმა, რომლის საშუალებითაც კურსდამთავრებულები აფასებენ პროგრამის ფარგლებში მათ მიერ მიღწეულ სწავლის შედეგებს. უნივერსიტეტში მოქმედებს კურსდამთავრებულთა ყოველწლიური გამოკითხვის მექანიზმი, რომლის შედეგების გაანალიზების საფუძველზეც დგინდება პროგრამის შედეგების შესაბამისობა დადგენილ სამიზნე ნიშნულებთან.
შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედებს შეფასების შედეგების გასაჩივრების წესი. **ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაცია: შეფასების გასაჩივრების სისტემა პრაქტიკაში უნდა მუშაობდეს. წარმოდგენილი ანგარიშსა და დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, უნივერსიტეტის მიერ რეკომენდაცია შესრულებულია.**
სტუდენტი უფლებამოსილია გაასაჩივროს მიღებული შეფასება მიღებული შეფასების გაცნობიდან სამი სამუშაო დღის ვადაში. ასეთ შემთხვევაში სტუდენტი მიმართავს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს. რექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება შესაბამისი სააპელაციო კომისია, რომელიც განიხილავს სტუდენტის პრეტენზიას და იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტის შეფასების ძალაში დატოვების ან/და არსებული შეფასების ცვლილების თაობაზე. ამ მიმართულებით სტუდენტთა ცნობიერების ამაღლებაზე აქტიურ ახსნა-განმარტებით სამუშაოებს ატარებენ დეკანატები და პროფესორ-მასწავლებლები, ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტების აქტიური ჩართულობით. სასწავლო უნივერსიტეტმა იმუშავა შეფასების სანდოობის, ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და უკუკავშირის განხორციელების მიმართულებით, რისი შედეგიცაა შეფასებასთან დაკავშირებული საჩივრების მცირე რაოდენობა.

თუ 2019 წლისათვის საჩივრების რაოდენობა 43 აღწევდა, 2021 წლისათვის ის თითქმის ორჯერაა შემცირებული. საჩივრების უმეტესი ნაწილი ტექნიკური ხარვეზებითაა გამოწვეული, შეფასებით უკმაყოფილოთა რაოდენობა 2019-2021წწ პერიოდში 30%-ით შემცირდა. გასაჩივრების შედეგების შემდეგ ხორციელდება უკუკავშირის სტუდენტებთან, აღნიშნული დასტურდება დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის დებულება • რეკომენდაციების შესრულების ანგარიში; • პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისა და შეფასების მეთოდოლოგია; • სწავლის შედეგების რუქები; • ვებ-გვერდი http://www.gttu.edu.ge; • ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. ○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

24.უნდა განხორციელდეს საქმიანობასთან დაკავშირებული გადახდები, კვლევაში სრულყოფილ მიღწევებზე, საერთაშორისო გავლენასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით.

რეკომენდაცია შესრულებულია.

რეკომენდაციის შესრულების მიზნით, უსდ-მ შეიმუშავა და /ან განაახლა დოკუმენტაცია, განავითარა პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული მართვის პოლიტიკა, რომელიც მოიცავს: პერსონალის მართვის ზოგად პრინციპებსა და წესებს; პერსონალის სამსახურში მიღების (არჩევა/დანიშვნა) გამჭვირვალე და ობიექტურ პროცედურას, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის პოზიციებზე კვალიფიციური კადრების მოზიდვას და დასაქმებას.

25.პერსონალის პროფესიონალური განვითარება უნდა იქცეს პრიორიტეტად.

რეკომენდაცია შესრულებულია.

რეკომენდაციის გათვალისწინების მიზნით, პერსონალის მართვის სისტემის გაუმჯობესებისათვის უსდ-ში განხორციელდა რიგი აქტივობები. კონკრეტულად, დეტალურად გაიწერა პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სამუშაოს აღწერილობები და ფუნქციები და მოვიდა შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან (სასწავლო უნივერსიტეტის დებულების დანართი. - სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები).

გარდა ამისა, კორექტირება შევიდა პერსონალის საქმიანობის შეფასების პროცედურებში, საუნივერსიტეტო შეფასების კითხვარები, აკადემიური პერსონალის ყოველწლიური თვითშეფასების ფორმა დეტალურად მოიცავს იმ აქტივობების ჩამონათვალს, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს მათი შეფასება. შესაბამისად, პერსონალის შესრულებულ საქმიანობასთან დაკავშირებით დადგინდა და განისაზღვრა სამიზნე ნიშნულები, შემუშავდა პერსონალის წახალისების მექანიზმები.

პერსონალის საქმიანობის შეფასების, პერსონალის საჭიროებების კვლევის პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, რომელიც დამუშავებულ შედეგებს წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შეფასების შედეგების საბოლოო ანალიზისა და შესაბამისი რეკომენდაციების განსაზღვრის მიზნით.

უსდ-ს შემუშავებული აქვს დოკუმენტი „აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები“, რომელიც ასევე ითვალისწინებს აფილირებული აკადემიური პერსონალის სტატუსსა და უფლება-მოვალეობებს. დოკუმენტის თანახმად, აფილირება მოიცავს უსდ-სა და უნივერისტეტის აკადემიურ პერსონალს (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი, ასისტენტი) შორის გაფორმებულ სპეციალურ აკადემიურ შეთანხმებას, რომლის საფუძველზე აკადემიური თანამდებობის მქონე პირი საკუთარ აფილირებას განსაზღვრავს მხოლოდ აღნიშნულ უსდ-სთან და მხოლოდ ამ უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობს სამეცნიერო, კვლევით ღონისძიებებსა და აქტივობებში. პირი აკადემიური კონკურსის გავლისთანავე აფორმებს აფილირების ხელშეკრულებას. დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს როგორც პერსონალის, ასევე დაწესებულების უფლება-მოვალეობებს, განსაზღვრავს აფილირებული პერსონალის მაქსიმალურ სემესტრულ დატვირთვას, დარეგულირებულია ასევე ადმინისტრაციული პერესონალის აკადემიური დატვირთვის ზღვრული ოდენობა. დაწესებულებამ წარმოადგინა ასევე აფილირებულ აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში, რომელშიც დაცულია სამართლებრივი დოკუმენტისათვის საჭირო სტანდარტები.

წარმოდგენილი დოკუმენტების, პერსონალთან და ადმინისტრაციასთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ უსდ-ს ბიუჯეტიდან გამოიყო თანხა პერსონალის პროფესიული აქტივობების დასაფინანსებლად, მათ შორის, ფრაგმენტულად, მაგრამ დაფინანსდა პერსონალის კონფერენციებში მონაწილეობა, ასევე სახელმძღვანელოების დაბეჭდვა (რომელშიც პერსონალთან ერთად სტუდენტებიც მონაწილეობდნენ); სამართლის ფაკულტეტის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში „ცხოვრება და კანონი“ პერიოდულად იბეჭდება როგორც პერსონალის, ასევე სტუდენტების სამეცნიერო შრომები. ინტერვიუებისას პერსონალმა აღნიშნა უსდ-ში მოქმედი პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებული რამდენიმე განმავითარებელ ტრენინგში მონაწილეობა.

დამატებით, დაწესებულებამ წარმოადგინა 2021 წლის ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის, ასევე სამართლის ფაკულტეტის სამეცნიერო საქმიანობის წლიური ანგარიშები, რომლებშიც დეტალურად არის გაწერილი სამეცნიერო საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების წლიური თემები (2021 წლის პრიორიტეტულ თემატიკად ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტზე განისაზღვრა „პოსტ კოვიდი: კრიზისიდან გამოსვლის პრობლემები და შესაძლებლობები“), კონკრეტულ კვლევით პროექტებში (პუბლიკაციები, სახელმძღვანელო, სტატია, სამეცნიერო კონფერენციები, საგრანტო პროექტები, სტუდენტური სამეცნიერო ღონისძიებები, სამეცნიერო კომპონენტის ხელმძღვანელობა, საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა და სხვ.) ჩართული პერსონალი და სტუდენტები, შესრულების ვადები, განხორციელების გრაფიკი და შესაბამისი აქტივობის ბიუჯეტი. თითოეულ წარმოდგენილ აქტივობას ახლავს შესრულების ინდიკატორი, ინფორმაცია განხორციელების შუალედურ მონიტორინგთან დაკავშირებით და ანგარიში.

გარდა ამისა, წარმოდგენილია სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის 2019-2021 წლების სამეცნიერო ანგარიშების ანალიზი, რაც შეფასდა როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი ასპექტებით. წარმოდგენილია შემაჯამებელი დასკვნები და ორივე ფაკულტეტის პერსონალის სამეცნიერო საქმიანობა შეფასებულია დამაკმაყოფილებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პერსონალის განვითარების გეგმა;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევის წესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი;
- სამუშაოს აღწერილობები;
- ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის სამეცნიერო საქმიანობის წლიური ანგარიში 2021
- სამართლის ფაკულტეტის სამეცნიერო საქმიანობის წლიური ანგარიში 2021
- ინტერვიუ პერსონალთან და ადმინისტრაციასთან

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

რეკომენდაცია 26. პერსონალის სამიზნე ნიშნულების უფრო მკაფიო სია უნდა დაინერგოს. ეს სამიზნე ნიშნულები უნდა ასახავდეს რეალობას და მოტივაციას აძლევდეს პერსონალს, რომ გამოიყენონ დრო კვლევისთვის, კერძოდ საერთაშორისო თემებზე.

რეკომენდაცია შესრულებულია.

რეკომენდაციის გათვალისწინების მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტში დაკორექტირდა და განახლდა დოკუმენტი „აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი“, რომლითაც რეგულირდება აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების, სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის, ასევე, მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების და აკადემიური საქმიანობის შეფასების პროცედურები და კრიტერიუმები. წესში დეტალურად არის განსზღვრული აკადემიური/მოწვეული პერსონალის საქმიანობის სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობის შეფასების მიზნები, დაკონკრეტდა შეფასების მეთოდები (სისტემატიზებული შეფასების კითხვარები) და პროცედურები, ასევე, განისაზღვრა შეფასების ინსტრუმენტები. უსდ-ში დაინერგა შეფასების შემდეგი კითხვარები:

ა) აკადემიური პერსონალის წლიური ანგარიში (თვითშეფასება);

ბ) აფილირებული აკადემიური პერსონალის შეფასება შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მიერ;

გ) აკადემიური პერსონალის შეფასება შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მიერ;

დ) აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ;

ე) აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება სტუდენტების მიერ;

ვ) მოწვეული პერსონალის შეფასება შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მიერ.

დამატებით, რეკომენდაციის თანახმად, დოკუმენტში გაიწერა, თუ როგორ ხდება კითხვარების ადმინისტრირება ადამიანური რესურსების მართვის სამსახურისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

რეკომენდაციის შესრულების მიზნით, უსდ-ში დაინერგა აკადემიური/მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების სამიზნე ნიშნულების სია, რომლის ფარგლებში პერსონალს დაეკისრა ვალდებულება, განახორციელოს დადგენილი სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები და აკადემიური წლის განმავლობაში უნდა დააგროვოს ქულათა ზღვრული რაოდენობა. უფრო კონკრეტულად:

- აკადემიური პერსონალის წლიური ანგარიში (თვითშეფასება) – პროფესორისთვის - ჯამურად მინიმუმ 80 ქულა; ასოცირებული პროფესორისთვის - ჯამურად მინიმუმ 75 ქულა; ასისტენტ-პროფესორისთვის - ჯამურად მინიმუმ 60 ქულა; ასისტენტისთვის - ჯამურად მინიმუმ 45 ქულა;
- აფილირებული აკადემიური პერსონალის შეფასება დეკანის მიერ - მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 60 % - ისა;
- აკადემიური პერსონალის შეფასება დეკანის მიერ - მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 55 % - ისა;
- მოწვეული პერსონალის შეფასება დეკანის მიერ - მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 50% - ისა;
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ - მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 60% - ისა;
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება სტუდენტების მიერ - მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 70% - ისა.

დოკუმენტით განისაზღვრა კონკრეტული პროცესისთვის შეფასების პერიოდულობა და უკუკავშირის სისტემა. უსდ-მ წარმოადგინა 2021 წლის ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის, ასევე სამართლის ფაკულტეტის სამეცნიერო საქმიანობის წლიური ანგარიშები, ასევე აკადემიური პერსონალის 2019-2021 წლების სამეცნიერო ანგარიშების ანალიზი (იხ. პასუხი 25-ე რეკომენდაციის შესრულების თაობაზე).

ამას გარდა, უსდ-ში საანგარიშო პერიოდში განახლდა „საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგია“ და ,,აკადემიური/მოწვეული პერსონალის ზღვრული დატვირთვის განსაზღვრის წესი," რომლებშიც განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი და მოიცავს აკადემიური, აფილირებული და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის სამიზნე ნიშნულებს. სამიზნე ნიშნულებში გათვალისწინებულია როგორც სტუდენტთა არსებული და მისაღები კონტინგენტი, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

უსდ-ს გააჩნია აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო და/ან სამეცნიერო კვლევით/ შემოქმედებით/საშემსრულებლო და სხვა დატვირთვას მათზე დაკისრებული ფუნქცია - მოვალეობებიდან გამომდინარე. ინტერვიუირებისას დაწესებულების წარმომადგენლებმაც და პერსონალმაც დაადასტურეს, რომ ყოველი სემესტრის დასაწყისში მოწმდება პერსონალის აკადემიური დატვირთვა როგორც სასწავლო უნივერსიტეტში, ასევე სხვა უსდ-ებშიც.

,,აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემაში" მოცემულია სასწავლო/კვლევით და სხვა სახის დატვირთვა პერსონალზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად. უსდ-ში განსაზღვრულია აკადემიური პერსონალის დატვირთვის ფორმები, რომელიც უზრუნველყოფს მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების ჯეროვნად შესრულებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები: • პერსონალის განვითარების გეგმა; • აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევის წესი; • ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა; • ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი; • აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი; • პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგია; • სამუშაოს აღწერილობები; • აკადემიური/მოწვეული პერსონალის ზღვრული დატვირთვების განსაზღვრის წესი; • ინტერვიუ პერსონალთან და ადმინისტრაციასთან.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
○ უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა დაანალიზი: გთუნი-ს საგანმანათლებლო საქმიანობას, მათ შორის, სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების პროცესებს არეგულირებს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“. დოკუმენტი ასევე აღწერს სტუდენტის უფლება-მოვალეობებს და

პროგრამების ორგანიზებასთან დაკავშირებულ პროცედურულ საკითხებს. აღნიშნული რეგულაციები მკაფიო, დეტალური, გამჭვირვალე და კანონმდებლობასთან შესაბამისია, შედგენილია სტუდენტისთვის აღქმად ენაზე. სტუდენტი, ხელშეკრულებაზე ხელისმოწერით ადასტურებს, რომ ის გაეცნო სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედ, სტუდენტისთვის მნიშვნელოვან შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს (მაგალითად, ეთიკის კოდექსს). სტუდენტებს რეგულაციებს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული აცნობს.

დაწესებულებაში უზრუნველყოფილია სტუდენტთა ინტერესების დაცვა, მათ შორის, გასაჩივრების მექანიზმით. სასწავლო უნივერსიტეტის ყველა რეგულაცია საჯარო და ხელმისაწვდომია. საანგარიშო პერიოდში შესრულდა ავტორიზაციის პროცესის დროს მიღებული რეკომენდაციები, კერძოდ:

რეკომენდაცია 27.უნდაამაღლდეს სტუდენტების ცნობიერება ქულებთან დაკავშირებულ გასაჩივრების პროცედურებზე, ისევე როგორც სასწავლო პროცესზე და უნდა მოუწოდოთ მათ, რომ გასაჩივრებისთვის გამოიყენონ ოფიციალური წერილები ნაცვლად ლექტორებთან პირისპირ კომუნიკაციისა.

რეკომენდაცია შესრულებულია. სტუდენტებთან ინტერვიუს მსვლელობისას განხილული იქნა გასაჩივრების პროცედურები და დადასტურდა მათ მიერ პროცედურების ცნობა. ამასთან, სასწავლო უნივერსიტეტში ვიზიტის დროს, მიმდინარეობდა რამდენიმე საჩივრის განხილვა - ზოგადად, საანგარიშო პერიოდში გასაჩივრების მექანიზმების გამოყენების მაჩვენებელი ადასტურებს სასწავლო უნივერსიტეტში გასაჩივრების ოფიციალური მექანიზმების დანერგვასა და ამუშავებას. სტუდენტებსა და ლექტორებს შორის არაოფიციალური კომუნიკაცია შეფასების შედეგების შესახებ კვლავ ხორციელდება, თუმცა, სტუდენტთა მხრიდან მიღებული შეფასების შესახებ კითხვით სასწავლო კურსის განმახორციელებელთან მიმართვა გასაგები და ლოგიკურია. იმ შემთხვევაში, თუ ლექტორისგან სტუდენტები ვერ მიიღებენ შესაბამის ინფორმაციას, ან/და არ ეთანხმებიან შეფასებას, ისინი მიმართავენ ოფიციალური გასაჩივრების მექანიზმს.

რეკომენდაცია 28. უნდა გაიზარდოს სტუდენტთა ჩართულობა ხარისხის გაუმჯობესებაში, პროგრამის დონეზე, ასევე შეფასების პროცესების კუთხითაც.

რეკომენდაცია შესრულებულია. გთუნი-ს სტუდენტები ჩართულნი არიან ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში, აფასებენ საგანმანათლებლო პროგრამებს, სასწავლო უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებს, სტუდენტთა მხარდამჭერ მექანიზმებსა და დაწესებულების რესურსებს. ამასთან, სტუდენტები ჩართული არიან პროგრამების შემუშავების ჯგუფებში. სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, ასევე ინტერვიუს შედეგები ადასტურებს სტუდენტთა მრავალმხრივ ჩართულობას ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში.

რეკომენდაცია 29. საჭიროა სტუდენტური თვითმმართველობის რეფორმის გატარება ისე, რომ იგი მხარს უჭერდეს სტუდენტებს აკადემიური ცხოვრების ყველა ასპექტში და არამხოლოდ კლასგარეშე საქმიანობებში

რეკომენდაცია მეტწილად შესრულებულია. გთუნის-ს ჰყავს სტუდენტური თვითმმართველობა, რომელიც აქტიურად არის ჩართული საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. სტუდენტური თვითმმართველობა გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა აქტივობას, თუმცა, შესაძლებელია ითქვას, რომ დასკვნაში აღწერილი გარემოება, თვითმმართველობის ძირითადად ექსტრაკურიკულური აქტივობების დაგეგმვა/განხორციელების შესახებ კვლავ აქტუალურია. მართალია, სტუდენტური თვითმმართველობა წარადგენს სტუდენტებს მმართველ საბჭოში, სადაც მათ აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებასა და ამასთან, წამოჭრან ინიციატივები, თუმცა ნაკლებად დასტურდება სტუდენტური თვითმმართველობის აქტიური მონაწილეობა აკადემიური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში, გარდა კლასგარეშე საქმიანობისა. მართალია, სასწავლო უნივერსიტეტში შექმნილია ყველა პირობა, რომ სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღონ ყველა პროცესში, მათ შორის, დაწესებულების მართვაში, მაგრამ,

შესაძლებელია, სასარგებლო იყოს სტუდენტებთან მეტი კომუნიკაცია, მათი ჩართულობის გასაზრდელად.

რეკომენდაცია 30. აამაღლეთ სტუდენტების ცნობიერება გთუნი-ს მისიისა და ხედვის შესახებ.

რეკომენდაცია შესრულებულია. სტუდენტებთან ინტერვიუების ფარგლებში, მოხდა მათთან გასაუბრება სასწავლო უნივერსიტეტის მისიის შესახებ. ინტერვიუების საფუძველზე, დადასტურდა როგორც სტუდენტების მიერ დაწესებულების მისიის ცნობა, არამედ მისი გააზრება და გაზიარება. მისიის გაზიარების მიზნით, პირველკურსელთათვის და მობილობით გადმოსული სტუდენტებისთვის გამართულ საინფორმაციო შეხვედრებზე, სტუდენტები ეცნობიან სასწავლო უნივერსიტეტის მისიასაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ოქმები);
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუების შედეგები;
- რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში.

რეკომენდაციები:

–

რჩევები:

განაგრძეთ ძალისხმევა სტუდენტების სასწავლო უნივერსიტეტის მართვაში აქტიური ჩართულობისთვის.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.

- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: გთუნი-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება სტუდენტთა აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, ასევე კარიერული მხარდაჭერის სერვისი სტუდენტთა მხარდაჭერისთვის დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი ასევე ზრუნავს სტუდენტთა ჩართულობაზე სხვადასხვა ღონისძიებაში და უზრუნველყოფს მათ ინფორმირებას სხვადასხვა საინფორმაციო არხით. აღსანიშნავია, რომ სტუდენტები კმაყოფილნი არიან სასწავლო უნივერსიტეტში მათი სწავლით, მხარდაჭერითა და კონსულტაციით. სასწავლო უნივერსიტეტისთვის ამჟამად ერთ-ერთი პრიორიტეტი სწორედ სტუდენტთა კმაყოფილებაზე მუდმივი ზრუნვაა, რადგან მიზნად ისახავს, მოიზიდოს მეტი სტუდენტი. დაწესებულებას ასევე გააჩნია სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები და ვინაიდან დაწესებულებაში აქტუალური გამოწვევაა სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობა, სტატუსის აღდგენის შემთხვევაში 30%-იან შეღავათს სთავაზობს სტუდენტებს. ავტორიზაციის პროცესში დაწესებულების მიერ მიღებული რეკომენდაციები შესრულებულია:

რეკომენდაცია 31. უკეთ იქნეს შედგენილი ლექტორთა საკონსულტაციო საათების ცხრილი, რათა ყველა სტუდენტს მიეცეს თანასწორი შესაძლებლობები.

რეკომენდაცია შესრულებულია. საკონსულტაციო საათების ცხრილი ყოველსემესტრულად დგება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან შეთანხმებით, სტუდენტთა ინტერესების დაცვით. სტუდენტები, ინტერვიუების შედეგებზე დაყრდნობით, კონსულტაციებით სარგებლობენ არამხოლოდ კონსულტაციებისთვის დადგენილი განრიგით, არამედ, ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით, შესაძლებლობა აქვთ სასწავლო კურსების ლექტორებთან დაკავშირების. სტუდენტები კმაყოფილნი არიან აკადემიური კონსულტაციების შესაძლებლობებით.

რეკომენდაცია 32.უნდა გქონდეთ უკეთესად სტრუქტურირებული და ორგანიზებული მონაცემთა ბაზა დამსაქმებლების შესახებ.

რეკომენდაცია შესრულებულია. დამსაქმებელთა ბაზა სტრუქტურირებული და ორგანიზებულია ფაკულტეტებისა და პროგრამების მიხედვით.

რეკომენდაცია 33. გამრავალფეროვნდეს და განცალკევდეს კარიერული ხელშეწყობისა და სტუდენტთა დახმარების დეპარტამენტების მოვალეობები, რათა უკეთ მოხდეს სტუდენტთა კონსულტირება მათი კარიერული შესაძლებლობების შესახებ, ისევე, როგორც კომუნიკაცია არსებულ და მომავალ დამსაქმებლებთან.

რეკომენდაცია შესრულებულია. დოკუმენტაციის შესწავლისა და ჩატარებული შეხვედრების თანახმად, გთუნი-ს სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ კონსულტაციები კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ, ასევე, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობისა და კარიერული მხარდაჭერის სამსახური ეფექტიანად თანამშრომლობს დამსაქმებლებთან. როგორც აღინიშნა მე-3 სტანდარტის აღწერაში, დამსაქმებელები ასევე აქტიურად

მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში. სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს მუდმივად მიეწოდებათ ინფორმაცია დასაქმების შესაძლებლობების შესახებ, ელ-ფოსტის და სხვა საინფორმაციო არხების მეშვეობით.

რეკომენდაცია 34. გაუმჯობესდეს და წახალისდეს ინტერნაციონალიზაცია დაწესებულებაში, ყველა სტუდენტის უზრუნველყოფით უფრო მეტად თანასწორი შესაძლებლობებითა და საინფორმაციო წყაროთი.

რეკომენდაცია შესრულებულია. სასწავლო უნივერსიტეტში გაძლიერებულია ძალისხმევა ინტერნაციონალიზაციის განვითარების მიმართულებით, დასტურდება პროგრესი, მათ შორის, სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობებით. გაზრდილია ასევე ინტერნაციონალიზაციის აქტივობებისთვის დაგეგმილი ბიუჯეტი. სტუდენტთა ინფორმირებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი საინფორმაციო არხები, მათ შორის: საინფორმაციო შეხვედრები, ვებგვერდი, სოციალური ქსელები, ელ-ფოსტა და სხვ. აღნიშნული დასტურდება როგორც დოკუმენტურად, ასევე ინტერვიუების საფუძველზე. ერაზმუს+ მობილობის პროგრამაში მონაწილეობისთვის ცხადდება ღია კონკურსები, სტუდენტებისთვის საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიება უცხოელი სპიკერის მონაწილეობით. მართალია, სტუდენტთა მობილობის მაჩვენებელი არც ისე მაღალია, კერძოდ, საანგარიშო პერიოდში „ERASMUS+"-ის მობილობის პროგრამით საზღვარგარეთ სულ 6 სტუდენტი იმყოფებოდა, მაგრამ უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო რაოდენობიდან გამომდინარე, ასევე პანდემიის გათვალისწინებით, მაჩვენებელი მისაღებია. ამასთან, რეკომენდაციის ძირითადი ნაწილი ეხებოდა თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფას, რაც ასევე შესრულებულია.

რეკომენდაცია 35. დაეხმარეთ სტუდენტებს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობაში.

რეკომენდაცია შესრულებულია. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სხვადასხვა სტუდენტური კონფერენცია:

- გთუნის სტუდენტთა XI სამეცნიერო ონლაინ კონფერენცია, 2020 წლის 18 ივლისს;
- სტუდენტთა XII სამეცნიერო-შემოქმედებითი კონფერენცია, 2021 წლის 28 მაისს;
- სტუდენტთა რესპუბლიკური ონლაინ კონფერენცია „COVID-19 და გლობალური გამოწვევები" (2020 წლის 30 ივნისი) ჩატარდა გთუნის „გთ კონსალტინგისა" და სამეცნიერო კონსალტინგური ცენტრის „მომავლის მენეჯერის" ინიციატივით.
- გთუნის ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ორგანიზებით, ჩატარდა სტუდენტთა II რეგიონული კონფერენცია ,,COVID-19-ის გამოწვევები: პანდემია და სოციალური
- კეთილდღეობა";
- 2022 წლის ივნისში გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში ჩატარდა სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, სახელწოდებით „სამართალი და თანამედროვე გამოწვევები".

რეკომენდაცია 36. ყველა სტუდენტს, არა მხოლოდ თვითმმართველობის წევრებს, მიეცეს ინგლისური ენის გაკვეთილებზე უსასყიდლოდ დასწრების თანაბარი შანსი.

რეკომენდაცია შესრულებულია. ინგლისური ენის სწავლება უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმში ინტეგრირებული სასწავლო კომპონენტებით, ასევე, სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია თავისუფალი მოდულის ფარგლებში Elementary და Beginner დონის შესწავლა. აღნიშნული არ არის დაკავშირებული დამატებით გადასახადთან და ყველა სტუდენტისთვის თანაბრად ხელმისაწვდომია.

რეკომენდაცია 37.უზრუნველყოფილ იქნეს უკეთ ადაპტირებული გარემო და სასწავლო რესურსები განსაკუთრებული საჭიროების მქონე სტუდენტთათვის.

რეკომენდაცია შესრულებულია. ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების საფუძველზე, ასევე ანგარიშში აღწერილი აქტივობების საფუძველზე, სასწავლო უნივერსიტეტის გარემო ადაპტირებულია განსაკუთრებული საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის. ფიზიკური გარემო ადაპტირებულია შშმ პირის გადაადგილებისთვის და შშმ პირს შესაძლებლობა აქვს წვდომა ჰქონდეს სასწავლო აუდიტორიებთან, სპეციალობის შესაბამის სპეციფიკაციის ლაბორატორიებთან, კომპიუტერულ კლასებთან, სტუდენტურ სერვისებთან, ბიბლიოთეკასთან, ადმინისტრაციასა და შესაბამის სტრუქტურებთან. რაც შეეხება სასწავლო რესურსებისა და მასალების სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტისთვის ადაპტირებას, აღნიშნული საჭიროება ამ ეტაპზე სასწავლო უნივერსიტეტს არ უდგას, თუმცა, რესურსების ადაპტირება, სტუდენტების საჭიროებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია განხორციელდეს დამატებით.

რეკომენდაცია 38. დახმარება აღმოეჩინოს ადმინისტრაციულ პერსონალს, რათა შეძლოს სტუდენტთა კონსულტირება პროფესიულ სფეროში.

რეკომენდაცია შესრულებულია. ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის საფუძველზე, რეკომენდაცია უკავშირდებოდა საბიბლიოთეკო სერვისებს, კერძოდ, ბიბლიოთეკის პერსონალის მიერ სტუდენტთა კონსულტირების შესაძლებლობას, მათი საერთაშორისო ბაზებთან მუშაობის უნარებიდან გამომდინარე. მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დათვალიერდა გთუნი-ს ბიბლიოთეკა და ჩატარდა ინტერვიუ ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან, რომელთაც ექსპერტებს ასევე აჩვენეს გთუნი-ში ხელმისაწვდომი სამეცნიერო ბაზები. გამოწვევა ან/და პრობლემური საკითხი ბიბლიოთეკის პერსონალის მიერ სტუდენტთა კონსულტირებასთან მიმართებით არ გამოკვეთილა. ბიბლიოთეკას ვიზიტის დროისთვის ჰყავდა ორი თანამშრომელი, რომელთაგან ერთი ფლობდა ინგლისურ ენას, შესაბამისად, ის შეძლებს უცხოელი სტუდენტებისთვის კონსულტაციის გაწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში;
- ინტერვიუების შედეგები;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება;
- სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები: -
რჩევები: -
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა
○ უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. ○ სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა. ○ უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი ზრუნავს სწავლების, კვლევისა და ეკონომიკის ინტეგრირების ხელშეწყობაზე, დაწესებულებას კვლევებთან დაკავშრებით ჩამოყალიბებული აქვს ხედვა და აქტივობები. უნივერსიტეტში შემუშავებულია *უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის განვითარების სტრატეგია*, რომელიც განსაზღვრავს სამეცნიერო საქმიანობასთან დაკავშირებულ ინსტიტუციურ მიდგომებს, სამეცნიერო საქმიანობის შეფასების მექანიზმებს და ინსტრუმენტებს და მიზნად ისახავს სამეცნიერო საქმიანობის განვითარებას, ხარისხის ამაღლებას და სამეცნიერო პოტენციალის ეფექტიან გამოყენებას. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიის ნაწილს წარმოადგენს უნივერსიტეტის ინტელექტუალური გამოცდილების გაღრმავება და კვლევის ინტეგრირება სასწავლო პროცესში. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების სისტემა და პროცედურა, შეფასების ინდიკატორები დეტალებშია მოცემული. ასევე შემუშავებულია ორი დოკუმენტი *უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმები* და *მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის საგრანტო კონკურსის დებულება,* სადაც დეტალებშია გაწერილი სამეცნიერო საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერის ღონისძიებები, კვლევითი პროექტების შიდა საგრანტო დაფინანსება;

გთუნი ახორციელებს კვლევით საქმიანობას, რომელსაც წვლილი შეაქვს მეცნიერულ, სოციალურ და ა.შ. განვითარებაში ეროვნულ და/ან საერთაშორისო დონეზე - მაგალითისთვის 2022 წლის განმავლობაში სასწავლო უნივერსიტეტის მხარდაჭერით უნივერსიტეტის პერსონალმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო სამეცნიერო და პრაქტიკულ კონფერენციებში, კოლოკვიუმში, სამეცნიერო სტატია გამოქვეყნდა Scopus-ში, კოლექტიური მონოგრაფია გამოქვეყნდა Library of Congress-ში, გურამ თავართქილაძის სახელობის თბილსის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული აიტვირთა Open Journals-პლატფორმაზე და,,Google Scholar"-ში, მე-11 ჟურნალიდან გახდა რეფერირებადი.

რეკომენდაცია 39 - განმტკიცდეს თანამშრომლობა ეკონომიკურ აგენტებთან

რეკომენდაცია შესრულებულია. სასწავლო უნივერსიტეტს მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულებით გაფორმებული აქვს მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან სტუდენტთა პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით. ეკონომიკურ აგენტებთან და/ან პრაქტიკის ობიექტებთან დადებული 33 ხელშეკრულება იყო წარმოდგენილი.

რეკომენდაცია 40 - შემუშავდეს მექანიზმები იმის უზრუნველსაყოფად, რომ კვლევები ფოკუსირებული იყოს რეგიონულ და საერთაშორისო კონტექსტზე

რეკომენდაცია შესრულებულია. სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის განვითარების სტრატეგიის მიხედვით უნივერსიტეტი, მისი ფაკულტეტების პროფილების შესაბამისად, წელიწადში ერთხელ განსაზღვრავს პრიორიტეტულ კვლევით მიმართულებებს; კვლევის პრიორიტეტების განსაზღვრის დროს, შესაძლებლობების ფარგლებში, უნდა გაითვალისწინოს და დააკმაყოფილოს საზოგადოების ინტერესები და მის წინაშე მდგარი კონკრეტული პრობლემები. კვლევითი პრიორიტეტების განვითარების მიზნით უნივერსიტეტი გამოყოფს ფინანსურ, მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს. დოკუმენტი *სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმები* შემუშავებულია, სადაც ერთ-ერთი პუნქტით გათვალისწინებულია, რომ კვლევითი პროექტების თემატიკა უნდა შეესაბამებოდეს გთუნის ძირითად სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებებს და აუცილებელი პირობის სახით გულისხმობს მასში სტუდენტების, პირველ რიგში მაგისტრანტების, მონაწილეობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

- რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში;
- *უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის განვითარების სტრატეგია;*
- უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმები;
- მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის საგრანტო კონკურსის დებულება;
- ბიზნესისა და სოც.მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფროსის წლიური ანგარიში;
- ფაკულტეტის ხარიხის სამოქმედო გეგმა;
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრების შედეგები
- წარმოდგენილი ხელშეკრულებები

რეკომენდაციები:
რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:
არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:
მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში შემუშავებული დოკუმენტები *უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის განვითარების სტრატეგია*; *სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმები;* და *მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის საგრანტო კონკურსის დებულება* და მათში გაწერილი მიზნები, აქტივობები, სამეცნიერო საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერის ღონისძიებები, კვლევითი პროექტების საგრანტო დაფინანსების წესები ემსახურება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობას.

კვლევების და სამეცნიერო-კვლევითი აქტივობებისა და ღონისძიებების დაფინანსების წესები მკაფიოდ და დეტალურად არის გაწერილი შემუშავებულ დოკუმენტებში. შემუშავებულია ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა.

სასწავლო უნივერსიტეტი ზრუნავს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და აქტივობების განხორციელების ხელშეწყობაზე. უნივერსიტეტის ბიუჯეტი, რომელიც დამატებით შეივსო საინვესტიციო კაპიტალ დაბანდებით და აღებული სესხით, ითვალისწინებს 13%-ით გაზრდილ დაფინანსებას კვლევასა და ინტერნაციონალიზაციაზე. გაწერილ სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის აქტივობებს შორის არის ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზება და მონაწილეობის მიღება, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა, აფილირებული პერსონალის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის დაფინანსება.

ბიუჯეტის თანხები ასევე გაწერილია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე, კვლევის მხარდაჭერის სამსახური უზრუნველყოფს საჭირო დახმარებას საგრანტო განცხადებების მომზადება/წარდგენასთან დაკავშირებულ საკითხებთან დაკავშირებით.

რეკომენდაცია 41
• აქტიურად იქნეს გამოყენებული აკადემიური პერსონალის მოტივაციის ყველა მექანიზმი

რეკომენდაცია შესრულებულია. სასწავლო უნივერსიტეტის ახალი მფლობელის მოსვლის შემდეგ ინტერნაციონალიზაციის და კვლევების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა ცვლილებები,

რომელიც ხელს უწყობს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და აქტივობების განხორციელებას. შემუშავებული *უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის განვითარების სტრატეგია, სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმები, მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების საგრანტო კონკურსის დებულება* მოიცავს კარგად გაწერილ სამოტივაციო მექანიზმებს. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შეფასება, შემუშავებულია დეტალურად გაწერილი დადგენილი ინდიკატორებით, მხარდაჭერილია კვლევითი პროექტების საგრანტო კონკურსი. გაიზარდა პერსონალის ხელფასი. აკადემიური პერსონალისთვის ხელმისაწვდომია Erasmus+ მობილობა ტრენინგისა და/ან ლექციის ჩატარების შესაძლებლობით.

რეკომენდაცია 42

• კვლევისა და ინტერნაციონალიზაციის გაუმჯობესების სტრატეგიული მიზნები დაუკავშირდეს შესაბამის საბიუჯეტო სახსრებს.

რეკომენდაცია შესრულებულია.

უნივერსიტეტის განახლებულ ბიუჯეტში 13%-ით გაზრდილი დაფინანსება ეხება კვლევასა და ინტერნაციონალიზაციას. ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება, კონფერენციებში მონაწილეობა, ინტერნაციონალიზაცია/საერთაშორისო ურთიერთობები, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა, ინსტიტუტების ჟურნალების გამოცემა, სტუდენტური კონფერენციები და ოლიმპიადები, აფილირებული პერსონალის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის დაფინანსება გაწერილია გთუნი-ს 2022-2025 წლის ფინანსური გეგმის პროექტში და დაფინანსების მოცულობა წლების მიხედვით მზარდია.

რეკომენდაცია 43

აკადემიურ პერსონალს რეგულარულად შესთავაზეთ პროფესიული განვითარების აქტივობები, რათა გაიზარდოს მათი სამეცნიერო კვალიფიკაცია

რეკომენდაცია შესრულებულია. სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობა ეფუძნება სასწავლო უნივერსიტეტის მისიასა და 2019-2025 წწ. სტრატეგიული განვითარების გეგმას და რეგულირდება *სამეცნიერო საქმიანობის განვითარების სტრატეგიით; სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმებით, მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების საგრანტო კონკურსის დებულებით.* პროფესიული განვითარების მიმართულებით ტარდება ტრენინგები, ვექშოფები, შეხვედრები. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობაზე თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელი პირები (მაგ, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია; ფაკულტეტები; ბიბლიოთეკა; კვლევების ხელშეწყობის ცენტრი) უზრუნველყოფენ მხარდაჭერას ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა მაგ, სამეცნიერო კვლევების განვითარების მიზნით კონტაქტების დამყარება; სამართლებრივი საკითხების, საგრანტო განაცხადის მომზადებისა და წარდგენის საკითხები, გრანტების ეფექტური ადმინისტრირება და ანგარიშების წარდგენის პროცესში ტექნიკური დახმარება.

რეკომენდაცია 44

• შემუშავდეს ციტირების მაღალი ინდექსისა და იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში პუბლიკაციების რაოდენობის გაზრდის მექანიზმები

რეკომენდაცია შესრულებულია. სასწავლო უნივერსიტეტის ახალი მფლობელის პირობებში კვლევების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა ცვლილებები, რომელიც ხელს უწყობს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და აქტივობების განხორციელებას. შემუშავებული *უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის განვითარების სტრატეგია, სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმები, მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების საგრანტო კონკურსის დებულება* მოიცავს გაწერილ სამოტივაციო მექანიზმებს. შემოღებულია აკადემიური პერსონალის

სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შეფასება დეტალურად გაწერილი დადგენილი ინდიკატორებით, მხარდაჭერილია კვლევითი პროექტების საგრანტო კონკურსი. გაიზარდა პერსონალის ხელფასი.

2021 წლისათვის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ გამოცემულ იქნა ერთი მონოგრაფია; საერთაშორისო ინდექსირებად ჟურნალებში, 5 სამეცნიერო სტატია; ადგილობრივ რეფერირებად/რეცენზირებად ჟურნალებში 3 სტატია; უცხოურ გამოცემებში 5 სამეცნიერო სტატია.

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული აიტვირთა Open Journals-პლატფორმაზე და,,GoogleScholar"-ში, მე-11 ჟურნალი გახდა რეფერირებადი, უნივერსიტეტი აწარმოებს მოლაპარაკებას DOIს მინიჭებასთან დაკავშირებით. ბოლო წლის განმავლობაში სასწავლო უნივერსიეტის მხარდაჭერით სამეცნიერო სტატია გამოქვეყნდა Scopus-ში, კოლექტიური მონოგრაფია გამოქვეყნდა Library of Congress- ში.

*ს*აბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ნაშრომების გარდა, სამეცნიერო სტატიები და ნაშრომები მოწმდება პლაგიატზე. ამისთვის უნივერსიტეტმა უკვე შეისყიდა TURNITIN-ის ლიცენზიები (მანამდე იყენებდა Qubuntu-ს)

რეკომენდაცია 45

• შემუშავდეს და განხორციელდეს სამეცნიერო აქტივობებში სტუდენტთა ჩართვის უფრო ეფექტური მექანიზმები

რეკომენდაცია შესრულებულია. უნივერსიტეტის განახლებულ ბიუჯეტში 13%-ით გაზრდილი დაფინანსება ეხება კვლევასა და ინტერნაციონალიზაციას. ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება, კონფერენციებში მონაწილეობა, ინტერნაციონალიზაცია/საერთაშორისო ურთიერთობები, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა, სტუდენტური კონფერენციები და ოლიმპიადები, გთუნი-ს 2022-2025 წლის ფინანსური გეგმის პროექტში და დაფინანსების მოცულობა წლების მიხედვით მზარდია.

უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში *სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმები* ერთ-ერთი პუნქტით გათვალისწინებულია, რომ კვლევითი პროექტების თემატიკა უნდა შეესაბამებოდეს გთუნის ძირითად სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებებს და აუცილებელი პირობის სახით გულისხმობს მასში სტუდენტების, პირველ რიგში მაგისტრანტების, მონაწილეობას.

2019-2021 პერიოდში 6 სტუდენტმა ისარგებლა Erasmus+ გაცვლითი პროგრამით, 2022- 2023 წლის საგაზაფხულო სემესტრში დაგეგმილია 5 სტუდენტის მობილობა.

რეკომენდაცია 46.

განმტკიცდეს თანამშრომლობა ევროპულ უნივერსიტეტებთან, მათ შორის ერთობლივი კვლევების სფეროში.

რეკომენდაცია შესრულებულია. სასწავლო უნივერსიტეტს აქვს ERASMUS+ მობილობის პროგრამის ხელშეკრულებები ევროპულ უნივერსიტეტთან, ასევე უნივერსიტეტი თანამშრომლობს 14 უცხოურ უნივერსიტეტთან და საგანმანათლებლო ინსტუტუციასთან, მათ შორის MyGlobal World Education Group, Guangzhou International Economics College, Alterbridge, China International Education group. ხელშეკრულება ითვალისწინებს ერთობლივი კონფერენციების, სემინარების და სხვა საგანმანათლებლო აქტივობების ჩატარებას სამეცნიერო კვლევების ორგანიზება-ჩართულობას, კვლევითი და საგანმანათლებლო მასალების გაზიარებას, და ა.შ

რეკომენდაცია 47.
განმტკიცდეს თანამშრომლობა საერთაშორისო საგანმანათლებლო/კვლევით ფონდებთან მეტად იქნეს გამოყენებული ახალგაზრდა კვალიფიციური აკადემიური პერსონალის მოზიდვის მექანიზმები.

რეკომენდაცია შესრულებულია. 2019-2021 პერიოდში 6სტუდენტმა ისარგებლა Erasmus+ გაცვლითი პროგრამით, რაც სასწავლო უნივერსიტეტის პროფილის და მოცულობის, ასევე განახლებული მექანიზმების გათვალისწინებით
2022- 2023 წლის საგაზაფხულო სემესტრში დაგეგმილია 5 სტუდენტის მობილობა. იგეგმება ევროპელ პარტნიორებთან ერთად Erasmus+ ინსტიტუციური პროექტების 2022 წლის საგრანტო კონკურსში 2 პროექტის შეტანა.
ბიუჯეტში სამეცნიერო კვლევითი საქმიანობისთვის გათვალისწინებული ხარჯები ემსახურება მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ჩართვას და წარმოადგენს მიზნობრივად შერჩეული პროექტების დაფინანსებების საშუალებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში;
- 2019-2025 წწ. სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- *უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის განვითარების სტრატეგია;*
- უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმები;
- მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის საგრანტო კონკურსის დებულება;
- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფროსის წლიური ანგარიში;
- ფაკულტეტის ხარიხის სამოქმედო გეგმა;
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუს შედეგები
- წარმოდგენილი Erasmus+ ხელშეკრულებები
- წარმოდგენილი ორმხრივი ხელშეკრულებები უცხოურ პარტნიორებთან
- სასწავლო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა
- ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სამეცნიერო საქმიანობის შეფასება

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება:
მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

გ. თავართქილაძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში კვლევების მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობს. შემუშავებულია *უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის განვითარების სტრატეგია*, რომელიც განსაზღვრავს სამეცნიერო საქმიანობასთან დაკავშირებულ ინსტიტუციურ მიდგომებს, სამეცნიერო საქმიანობის შეფასების მექანიზმებს და ინსტრუმენტებს და მიზნად ისახავს სამეცნიერო საქმიანობის განვითარებას, ხარისხის ამაღლებას და სამეცნიერო პოტენციალის ეფექტიან გამოყენებას. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიის ნაწილს წარმოადგენს უნივერსიტეტის ინტელექტუალური გამოცდილების გაღრმავება და კვლევის ინტეგრირება სასწავლო პროცესში. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების სისტემა და პროცედურა, შეფასების ინდიკატორები მკაფიოდაა მოცემული. ასევე შემუშავებულია ორი დოკუმენტი *უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმები* და *მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის საგრანტო კონკურსის დებულება,* სადაც დეტალებშია გაწერილი სამეცნიერო საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერის ღონისძიებები, კვლევითი პროექტების შიდა საგრანტო დაფინანსება;

სასწავლო უნივერსიტეტში დოკუმენტი ,,აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების წესი" არეგულირებს აღნიშნულ პროცესს. აკადემიური/მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასება სასწავლო უნივერსიტეტში ხორციელდება ფორმალური გზით, განსაზღვრული პერიოდულობით, წინასწარ შერჩეული ინსტრუმენტით (აკად პერსონალის წლიური ანგარიში-თვითშეფასება). შეფასების ინსტრუმენტი შეფასების კითხვარები, რომელიც მიმართულია შესრულებული აქტივობების ხარისხისა და სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების გასაუმჯობესებლად. ასევე, პერსონალის შესაძლებლობების გამოსავლენად და მათ მხარდასაჭერად, შემდგომი განვითარებისთვის.

შეფასების შედეგებზე რეაგირების მიზნით, დაგეგმილი აქტივობების სამოქმედო გეგმას ადგენს სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ხოლო პერსონალის სამეცნიერო აქტივობების სამოქმედო გეგმას-კვლევების ხელშეწყობის ცენტრი, ხოლო აღნიშნული პროცესის მონიტორინგს ახორციელებს სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

რეკომენდაცია 48. აქცენტი გაკეთდეს სამეცნიერო აქტივობების ხარისხობრივ შეფასებაზე, ყოვლისმომცველ ანალიზზე და ინდივიდუალური რეკომენდაციების შემუშავებაზე;

რეკომენდაცია შესრულებულია. სასწავლო უნივერსიტეტში დოკუმენტი ,,აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების წესი" არეგულირებს აღნიშნულ პროცესს. კვლევის ხარისხის შეფასებისა და პერსონალის პროდუქტიულობის შეფასების მიზნით ხარისხის მართვის სამსახურს შემუშავებული აქვს კვლევის ხარისხის შეფასების მექანიზმები და პერსონალის პროდუქტიულობის თვითშეფასების სისტემა, რომლის მეშვეობითაც, ყოველწლიურად, ფასდება აკადემიური პერსონალის კვლევის შედეგები.
შეფასების შედეგებზე რეაგირების მიზნით, დაგეგმილი აქტივობების სამოქმედო გეგმას ადგენს სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ხოლო პერსონალის სამეცნიერო აქტივობების სამოქმედო გეგმას-კვლევების ხელშეწყობის ცენტრი, ხოლო აღნიშნული პროცესის მონიტორინგს ახორციელებს სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

რეკომენდაცია 49.
განხორციელდეს შეფასება და ანალიზი ყველა პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის აქტიური ჩართულობით

რეკომენდაცია შესრულებულია. *გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების წესი* არეგულირებს პერსონალის პროფესიული განვითარების და აკადემიური საქმიანობის შეფასების პროცედურებსა და კრიტერიუმებს. პროცესში ჩართულია ყველა პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება ხორციელდება შეფასების ინსტრუმენტებით:

- აკადემიური პერსონალის წლიური ანგარიში (თვითშეფასება);
- აფილირებული აკადემიური პერსონალის შეფასება შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მიერ;
- აკადემიური პერსონალის შეფასება შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მიერ;
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ;
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება სტუდენტების მიერ;
- მოწვეული პერსონალის შეფასება შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მიერ

შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის, პროგრამის ხელმძღვანელისა და სტუდენტის მიერ აკადემიური/აფილირებული აკადემიური/მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, რომელიც დამუშავებულ შედეგებს წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შეფასების შედეგების საბოლოო ანალიზისა და შესაბამისი რეკომენდაციების განსაზღვრის მიზნით.
აკადემიური პერსონალის წლიური ანგარიშის (თვითშეფასების) პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც თავის მხრივ შედეგებს აცნობს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს.. აკადემიური/აფილირებული აკადემიური/ მოწვეული პერსონალის სემესტრული და წლიური შედეგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ეგზავნება შესაბამისი ფაკულტეტებს, პროგრამის ხელმძღვანელებს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურსა და კვლევების ხელშეწყობის ცენტრს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

- *გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების წესი ;*
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფროსის წლიური ანგარიში;

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსი
○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. ○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. ○ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ○ დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტს კერძო მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება დაგეგმილ 1800 სტუდენტთა რაოდენობას. გთუნი-ს კამპუსის მიწის საერთო ფართია 7081კვმ, რომელზეც განთავსებულია 2 შენობა, პირველი შენობა (4682 კვ.მ.) გამოიყენება საგანმანათლებლო პროცესისათვის, ხოლო მეორე (434 კვ.მ.) ანუ 1 დაგეგმილ სტუდენტზე არის 2.84კვ.მ. სასწავლო სივრცე. სულ არსებული ფართიდან სასწავლო 3098.82 კვ.მ., ხოლო დამხმარე - 2496.09 კვ.მ. სასწავლო კორპუსს აქვს განცალკევებული საკლასო ოთახები, სასწავლო კაბინეტები, სასწავლო და კვლევითი ლაბორატორიები, ფართები ჯგუფური მუშაობისათვის, სასაწყობო მეურნეობები, საკონფერენციო დარბაზი, ოთახები დაარქივებული მასალისათვის, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საოფისე ფართები. თითოეულ სართულს აქვს კამპუსში არის რეკრეაციული სივრცეები; ბიბლიოთეკა აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, რომელიც განთავსებულია ცალკე შენობაში, სადაც ამასთანავე არის სტუდენტური სივრცეები მოწყობილი. უსდ-ს სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებს შენობის, საკლასო ოთახების, სასწავლო კაბინეტების, სასწავლო და კვლევითი ლაბორატორიების მუდმივ განახლებას უსდ-ს აქვს საკუთარი ელექტრომომარაგების ხაზი. უსდ-ს კუთვნილი მატერიალური რესურსები ემსახურება საგანმანათლებლო მიზნების განხორციელებას, შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და აკმაყოფილებს ამჟამად არსებულ სტუდენტთა რაოდენობას და დაგეგმილ ჩარიცხვას. უსდ-ს სანიტარიის სისტემა, წყალმომარაგებისა და გათბობის სისტემები კარგ მდგომარეობაშია. გთუნი ახორციელებს პერიმეტრის ვიდეო კონტროლს CCTV სისტემით. უნივერსიტეტის პირველ სართულზე არის ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი დახმარების გასაწევად საჭირო მედიკამენტებითა და ინვენტარით. უნივერსიტეტის ბიუჯეტი გამოყოფს სახსრებს მედიკამენტებისა და აუცილებელი აღჭურვილობის შესაძენად. გთუნი-ს აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის. ლიფტი და სხვა აღჭურვილობა ხელს უწყობს სპეციალური საჭიროებების მქონე პირების თავისუფალ გადაადგილებას. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის გამოყოფილია სპეციალური სანიტარული კვანძები.

საუნივერსიტეტო სივრცეში განხორციელებული სამუშაოების გათვალისწინებით, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირები უზრუნველყოფილნი იქნებიან ყველა იმ მომსახურებით, რაც შეუძლიათ ისარგებლონ სხვა სტუდენტებმაც. განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებს ხელი მიუწვდებათ პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებზე და ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისას ასეთი სტუდენტი არ აღმოჩნდა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო გასაუბრება. უსდ-ს ყველა საკლასო ოთახს აქვ ფანჯარა და შესაბამისად კარგი განიავების საშუალება. უსდ-ს აქვს ხანძარსაწინააღმდეგო და უსაფრთხოების ინვენტარი. ასევე, ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა განთავსებულია ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილებში, ინსტრუქციებისა და ევაკუაციის გეგმების თანხლებით. შენობას გააჩნია რამდენიმე სპეციალური სათადარიგო გასასვლელი, რომლებშიც კარებები იღება შიგნიდან გარეთ. უსდ-ს მფლობელებთან და ადმინისტრაციასთან საუბრის საფუძველზე დადგინდა, რომ ახალი მფლობელები გეგმავენ მნიშნელოვან ინვესტიციებს მატერიალურ რესურსებში. აღწერილი გარემოებების გათვალისწინებით, შესაბამისი მტკიცებულებებით და ადგილზე უსდ-ს დაინტერესებულ მხარეებთან საუბრის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უსდ-ს მატერიალური რესურსი ადეკვატურია 1800 სტუდენტისთვის სასწავლო მომსახურების გასაწევად,
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა). • რეკომენდაციების შესრულების ანგარიში; • გთუნ-ის მისია; • ვებგვერდი http://www.gttu.edu.ge; • 2019-2025წწ. სტრატეგიული განვითარების გეგმა; • 2022-2025წწ. სამოქმედო გეგმა; • უსდ-ს ბიუჯეტი; • ადგილზე ჩატარებული დათვალირება; • ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; • ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრების შედეგები.
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უსდ-ს კემპუსში აქვს ცალკე მდგომი 434 კვ.მ. ფართის შენობა, სადაც განთავსებულია ბიბლიოთეკა წიგნების საცავებით. ბიბლიოთეკას აქვს: სამკითხველო დარბაზი, ბიბლიოთეკის პერსონალის ოთახი, ელექტრონული რესურსების კითხვის ადგილები, მათ შორის 21 ინტერნეტში ჩართული კომპიუტერული აღჭურვილობით, აქვეა მოწყობილი ფართები შეხვედრებისა და ჯგუფური მუშაობისათვის.

ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეადგენს 18260 ეგზემპლარს. აქედან 14447 წიგნი (ბეჭდური), 981 ეგზემპლარი ამონარიდი (ქსეროქზე გამრავლებული საკითხავი მასალა) სულ 15428 ერთეული, 2832 ერთეული - ელექტრონული ლიტერატურა. ზოგადად საბიბლიოთეკო ფონდი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში მითითებულ ლიტერატურას.

საბიბლიოთეკო რესურსები ადეკვატურია სწავლის შედეგების მისაღწევად და კვლევის განხორციელებისთვის. სტუდენტებს აქვთ წვდომა ონლაინ ბიბლიოთეკის კატალოგთან, სადაც ყველას შეუძლია წიგნისა თუ სხვა სასწავლო მასალის მოძიება. გთუნი-ს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ეროვნულ ბიბლიოთეკასთან და იმ შემთხვევაში, როდესაც მის ბიბლიოთეკას არ აქვს საჭირო მასალები, ეროვნულ ბიბლიოთეკას შეუძლია ლიტერატურა გამოუგზავნოს ფოსტის მეშვეობით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა შეუერთდა საქართველოს ბიბლიოთეკების ასოციაციას 2013 წელს. უნივერსიტეტს აქვს წვდომა რიგ საერთაშორისო ონლაინ ბიბლიოთეკებზე. ყველა შესაბამისი ლინკი განთავსებულია ბიბლიოთეკის ვებ გვერდზე.

ბიბლიოთეკა მონაწილეობს პროექტში, რომელიც სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს საშუალებას აძლევს ისარგებლონ ELSEVIER-ის („ელსევიერის“) შემდეგი სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებით:

1. Scopus (ციტირებისა და აბსტრაქტების უდიდესი საერთაშორისო ბაზა)

2. ბაზა Science Direct (სამეცნიერო ჟურნალების ბაზა)

3. Scival Funding (Funding Institutional) (სამეცნიერო გრანტების ბაზა)

სასწავლო უნივერსიტეტს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ა(ა)იპ საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმი 2017-თან, რომლის საშუალებითაც ბიბლიოთეკა მონაწილეობს პროექტში „ელექტრონული ინფორმაცია

ბიბლიოთეკებისათვის“.

უსდ-ს აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის რეგულაციები, საინფორმაციო ინსტრუქციები და სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. დაწესებულების ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურით; ბიბლიოთეკა ღიაა

მხოლოდ სტუდენტებისა და პერსონალისთვის კვირაში 6 დღის, საერთო ჯამში 62 საათის განმავლობაში. სასწავლო უნივერსიტეტს ლიტერატურის ელექტრონული საძიებელი განთავსებული აქვს ვებ- გვერდზე https://bit.ly/3o6wXfA .

ბიბლიოთეკაში არსებობს საბიბლიოთეკო პრინციპით მოწესრიგებული სამი სახის კატალოგი: სისტემური, ანბანური და ელექტრონული (openbiblio). ბიბლიოთეკის დებულება, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები.

უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს ისარგებლონ მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსებით. ასევე უფასოდ გამოაქვეყნოს პუბლიკაცია 10-ზე მეტ საერთაშორისო ელექტრონულ რესურსებში ასევე ისარგებლონ ფასდაკლებით პუბლიკაციის გამოქვეყნებაზე 10-ზე მეტ საერთაშორისო გამოცემაში.

ბიბლიოთეკის თანამშრომლები რეგულარულად გადიან სხვადასხვა სახის კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებს. ბოლო პერიოდში მათმა გაიარეს ტრენინგები ელექტრონული რესურსების და მათი გამოყენების შესახებ, რომელიც ჩაატარა შოთა რუსთაველის ფონდმა, საბიბლიოთეკო კონსორციუმმა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა და საქართველოს ეროვნულმა ბიბლიოთეკამ "თანამედროვე ბიბლიოთეკები და ელექტრონული რესურსები".

ადგილზე განხორციელებული ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე, საბიბლიოთეკო რესურსების ადგილზე დათვალიერების ელექტრონული პროგრამების და ბაზების ადგილზე ჩატარებული ტესტების და სხვა მონიტორინგის აქტივობების საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

რეკომენდაცია 50: ბიბლიოთეკის პერსონალი უნდა აწვდიდეს მეტ ინფორმაციას სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს საერთაშორისო ონლაინ ბიბლიოთეკებისა და მათი გამოყენების თაობაზე. ამ მიზნით, ბიბლიოთეკარები უნდა გადამზადდნენ შესაბამის სფეროში.

რეკომენდაცია შესრულებულია. უსდ მოახდინა ბიბლიოთეკის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება. სტუდენტებს და აკადემიურ პერსონალს აქვს ინფორმაცია საერთაშორისო ონლაინ ბაზების შესახებ და ამასთანავე იყენებენ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

- რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;
- გთუნ-ის მისია;
- ვებგვერდი http://www.gttu.edu.ge;
- 2019-2025წწ. სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2022-2025წწ. სამოქმედო გეგმა;
- უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმები;
- მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის საგრანტო კონკურსის დებულება;
- სასწავლო უნივერსიტეტის დებულება;
- სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;

- სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის მექანიზმები;
- ბიუჯეტი;
- სამოქმედო გეგმის სამწლიანი ანგარიში;
- მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა;
- ადგილზე ჩატრებული დათვალიერება;
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.3 საინფორმაციო რესურსი

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.
- უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში არსებობს სასწავლო და სამეცნიერო მუშობისთვის, ამჟამინდელი და უახლოეს მომავლში დაგეგმილი სტუდენტთა კონტიგენტისთვის საკმარისი IT ინფრასტრუქტურა. უსდ-ში ფუნქციონირებს სპეციალური საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია ვებგვერდთან და ინტერნეტთან (უსადენო ინტერნეტთან), ასევე კომპიუტერულ პროგრამებთან და მონაცემთა ბაზებთან (სერვერებთან) დაკავშირებული საკითხებისა და პრობლემების გადაჭრაზე. უნივერსიტეტის შენობის მთელ ტერიტორიაზე მოქმედებს Wi-Fi, რომელიც ღიაა ყველასთვის.

გთუნი-ს აქვს სასწავლო პროცესის მენეჯმენტის სისტემა, სადაც ხდება სტუდენტების რეგისტრაცია. სადაც ჩანს სალექციო ცხრილები (დრო, ლექტორის სახელი და აუდიტორიის ნომერი), სტუდენტები ამ სისტემაში ხედავენ საკუთარ შეფასებებსა და პროგრესს, აფასებენ აკადემიური პერსონალსა და ადმინისტრაციას, ასევე ახორციელებენ სასწავლო მასალების შეძენას.

უსდ-ს ვებგვერდი სრულყოფილად ფუნქციონირებს როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე. განთავსებულია განახლებული ინფორმაცია, რომელიც საჭიროა სტუდენტებისთვის, აკადემიური პერსონალისა და დაინტერესებული მხარეებისათვის (მაგალითად დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები და სხვა). ვებსაიტზე განთავსებულია სტუდენტებისა და დაინტერსებული მხარეებისთვის საჭირო ინფორმაციას ქართულ და ინგლისურ ენებზე, მათ შორის უსდ-ს მისია, აქტივობები, სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, პროგრამები და სხვ,

ვებგვერდზე განთავსებულია ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი. აქვეა სხვადასხვა დოკუმენტები, როგორებიცაა: მარეგულირებელი დოკუმენტები, სტრატეგიული განვითარების გეგმები, წლიური ანგარიშები, ფინანსური ანგარიშები, მიმდინარე და განხორციელებული კვლევები და ა.შ.

უსდ-ს აქვს ბიზნეს უწყვეტობის გეგმა. სტრატეგიულ გეგმაში გაწერილია ერთ-ერთი ამოცანით გათვალისწინებულია საქმიანობის უწყვეტობა, მდგრადობა და ხარისხის უზრუნველყოფა, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების განვითარება, რისთვისაც განახლებულ ბიუჯეტში გამოყოფილია 897 700 ლარი.

უსდ-ში შექმნილი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების ბიზნეს უწყვეტობის გეგმას საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკების მართვის მუშაობს შესაბამისი კონტროლები, რაც ადეკვატურია უსდ-ს მუშაობისთვის.

მიღებული ინფორმაციის და ადგილზე განხორცილებული ვიზიტის ფარგლებში მატერიალური რესურსების დათვალირებით და ჩატარებული ტესტებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა. ამასთანავე, ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.

რეკომენდაცია 51. კომპიუტერული ბანკი და ოპერაციული სისტემები (Windows 7) საჭიროებს განახლებას.

რეკომენდაცია საბჭოს მიერ არ იქნა გაზიარებული

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

- რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;
- გთუნ-ის მისია;
- ვებგვერდი http://www.gttu.edu.ge;
- 2019-2025წწ. სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2022-2025წწ. სამოქმედო გეგმა;
- სასწავლო უნივერსიტეტის დებულება;
- სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის მექანიზმები;
- ბიუჯეტი;
- სამოქმედო გეგმის სამწლიანი ანგარიში;
- მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა;
- ადგილზე ჩატრებული დათვალიერება;

- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.4 ფინანსური რესურსი

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, როგორც ბიზნესი გაყიდვის პროცედურა დაიწყო 2020 წელს, ხოლო რეალურად ბიზნესის გადაფორმება დასრულდა 2022 წლის მარტში.

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში, 2022 წლის მარტში, მოხდა მფლობელის ცვლილება და ორგანიზაციის მესაკუთრე გახდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჯორჯია ინტერნეშენალ ედუქეიშენ ინვესტმენტ“, რომელიც ანგარიშში მოხსენიებულია, როგორც „ჩინეთის საერთაშორისო განათლების ჯგუფი”. ამ ძირეული ცვლილებების საფუძველზე მოხდა უსდ-ს სტრუქტურის, მმართველობის მისიის ცვლილება. ამასთანავე სტრატეგიულ გეგმასა და სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანა. უსდ-ში შენარჩუნებული იქნა ძირითადი საკვანძო პასუხისმგებლობებზე არსებული ადამიანური რესურსები, განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურის საფუძველზე მოხდა ახალი კადრების შერჩევა.

უსდ-ს დამფუძნებლებთან და მათ წარმომადგენლებთან საუბრის საფუძველზე დადგინდა, რომ მათ აქვთ ამბიციური გეგმები და სურვილი იმისა, რომ უსდ გახდეს ცნობადი არა მხოლოდ ლოკალურ, არამედ საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზარზე. იყოს კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური კურსდამთავრებულებით.

უსდ-ს მფლობელი კომპანიის „ჯორჯია ინტერნეშენალ ედუქეიშენ ინვესტმენტ"-ის მიერ https://reportal.ge/-ზე არ არის ატვირთული ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისად მათი მიერ შვილობილ საწარმოში განხორციელებული ინვესტიციების ოდენობის დადგენა ვერ ხორციელდება. კანონის **„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ", საფუძველზე საქართველოში მოქმედმა ყველა შპს-მ უნდა უზრუნველყოს ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება** https://reportal.ge/-ზე, თავად უსდ-ს ანგარიშგებები იძებნება თუმცა მფლობელი კომპანიის ფინანსური ანგარიშგებები არ არის ხელმისაწვდომი. წარმოდგენილი ბიუჯეტის საფუძველზე 2022-2025 წლებში მფლობელი გეგმავს დამატებით 1 315 000 ლარის პირად და ამასთანავე 659 000 საბანკო კრედიტის ინვესტიციის განხორციელებას, რომელთა შესახებ დარწმუნებითი დოკუმენტის მოპოვება არა რელევანტურია. აღწერილი გარემოებებიდან გამომდინარე წარმოდგენილი უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მეტწილად მიღწევადია, ამიტომ უსდ-მ უნდა იზრუნოს ფინანსური მდგრადობის მიღწევისათვის.

ასევე შესაძლებელია ითქვას, რომ უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა მეტწილად უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.

ასევე წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე დარწმუნებით შესაძლებელია ითქვას, რომ უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე და უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.

უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

რეკომენდაცია 52. უნივერსიტეტმა უნდა გაზარდოს კაპიტალი, ამისათვის გაამრავალფეროვნოს წყაროები და შეცვალოს სტრატეგიული ამოცანები, რათა დაემთხვეს კაპიტალის ლიმიტებს;

რეკომენდაცია მეტწილად შესრულებულია, გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯები თუმცა კაპიტალში ინვესტირება ვერ დგინდება, რომელიც შესაძლოა იყოს საანგარიშგებო დოკუმენტების ვადების, რომელიც ბალანსში უნდა იქნას ასახული 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

რეკომენდაცია 53. დაწესებულებამ უნდა გაზარდოს კვლევების ბიუჯეტი.

რეკომენდაცია შესრულებულია. კვლევების ბიუჯეტი გაზრდილია 13%-ით. დეტალები იხილეთ მე-6 სტანდარტში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

- რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;
- გთუნ-ის მისია;
- ვებგვერდი http://www.gttu.edu.ge;
- 2019-2025წწ. სტრატეგიული განვითარების გეგმა;

- 2022-2025წწ. სამოქმედო გეგმა;
- სასწავლო უნივერსიტეტის დებულება;
- სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის მექანიზმები;
- 2019, 2020 და 2021 წლის აუდიტის დასკვნები და ფინანსური ანგარიშგებები;
- ბიუჯეტი;
- სამოქმედო გეგმის სამწლიანი ანგარიში;
- მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა;
- ადგილზე ჩატარებული დათვალიერება;
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

- წარმოდგენილი ბიუჯეტის საფუძველზე 2022-2025 წლებში მფლობელი გეგმავს დამატებით 1 315 000 ლარის პირად და ამასთანავე 659 000 საბანკო კრედიტის ინვესტიციის განხორციელებას, რომელთა შესახებ დარწმუნებითი დოკუმენტის მოპოვება არა რელევანტურია, რადგან ეს შესაძლებელია შეიცვალოს. აღწერილი გარემოებებიდან გამომდინარე, წარმოდგენილი უსდ-ს ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მეტწილად მიღწევადია, ამიტომ უსდ-მ უნდა იზრუნოს ფინანსური მდგრადობის მიღწევისათვის.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

- სასურველია, კანონის „**ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ**“, **შესაბამისად** უსდ-ს მფლობელი კომპანიის „ჯორჯია ინტერნეშენალ ედუქეიშენ ინვესტმენტ“-ის მიერ https://reportal.ge/-ზე განთავსდეს ფინანსური ანგარიშგება, რათა მიღწეული იქნას გამჭირვალობის სათანადო მოთხოვნები.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

დანართი №1: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული / აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1						
2						
3						
4						
5						